

ମୁଦ୍ରାକାର  
ବିଜୟ

1938.

ଶାଖାଲେଖନ ପାତ୍ର ପରିଚୟ

1

В З Е Б О  
თაობები

12 765

საქართველოს საგვითა მწვრთხის  
კავშირის გრაველთვისური მუზეუმი



01 8 0 3 0 6 0  
—  
1 9 3 8

№ 1  
0153060

## ს ა რ ჩ უ 3 0

83.

პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას  
პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ.  
კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციები-  
სადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამო-  
კიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღ-  
შოფხერის ლონისძიებებზე საკ. კ. პ. (ბ)  
ც. კ-ის პლენურის დადგენილება

3

## მხატვრული ლიტერატურა

შარია ბარათაშვილი — „ლენინი ოქტომბერში“	14
სანდრო ჭლენტი — ლენინი ბალში	17
აპოლონ ჭუთელია — ლენინს	19
ალექს შენგელია — მზის დაბადება	20
სევერიან ისიანი — სამშობლოს	22
ვასო გორგაძე — მატროსი შტეპენკო	24
გორგი ქუჩიშვილი — აბრეშუმის ქარხანაში	25
ანდრო თევზაძე — სიმღერა თბილისზე	28
ჭ. ავალიანი — ჩემი ბედის ვარსკვლავი	29

## კლასიკური მემკვიდრეობა

ზაირანი — მშვიდობით — თარგმანი ი. მჭედლი- შვილისა	35
ბაირონი — დღეს შემისრულდა ოცდათექსმე- ტი წელი — თარგმანი ინგლისურით გიგი გაჩქერილადის მიერ	37

## კრიტიკა

ურ. ასტვაციატუროვი — ნ. ა. ნეკრასოვი და რე- ვოლუციური ახალგაზრდობა	39
გ. ნატროშვილი — ალიო მაშაშვილი	49
თაკობ ბალახაშვილი — ალექსანდრე ყაზბეგი. და მეფის ცენზურა	61

3/3 რედაქტორი ირაკლი აგაშიძე

მთავ. № 1913 შეკვ. № 302 ტირაჟი 6500

სახელგამის პოლიგრაფიკომბინატი ქ. № 5

პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტიაზანიშაცი-  
მასის შეცდომებზე, საკ. კ. პ. (გ)-ლა გარიცხულთა აკელა-  
ციისადმი ფორმალურ-ბიუროპრატიცლ დამოკიდებულე-  
ბასა და ამ ნაკლოვანიათა აღმოჩენის ღონისძიებებზე  
საკ. კ. პ. (გ) ც.-კის კლენუმის დაღვინილება:

საკ. კ. პ. (გ) ც. კ.-ის პლენუმში აუცილებლად შიახნია შიაპყროს პარ-  
ტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების ყურადღება იმას,  
რომ ისინი, ატარებენ რა დიდ მუშაობას თავისი რიგების გასაწმენდად  
ფაშიზმის ტროკისტულ-მემარჯვენე აგენტებისაგან, ამ მუშაობის პრო-  
ცესში უშვებენ სფრიოზულ შეცდომებსა და დამახინჯებებს, რომლებიც  
ხელს უშლიან პარტიის გაწმენდის საქმეს თვალთმაქცებისაგან, ჯაშუ-  
შებისაგან, მავნებლებისაგან. მიუჩედავად საკ. კ. პ. (გ) ც. კ.-ის არაერთგზის  
მითითებისა და გაფრთხილებისა, პარტიული ორგანიზაციები ბევრ შემ-  
თხვევაში სრულიად არასწორად და დანაშაულებრივ-ქარაფშუტულად  
უდგებიან კომუნისტების გარიცხვას პარტიიდან.

საკ. კ. პ. (გ) ცენტრალური კომიტეტი არაერთხელ მოითხოვდა პარტი-  
ული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელებისაგან პარტიის წევრები-  
სადმი ყურადღებით, ინდივიდუალურ მიღვომას პარტიიდან გარიცხვის ან  
საკ. კ. პ. (გ)-დან არასწორად გარიცხულების პარტიის წევრთა უფლებებ-  
ში აღდგენის საკითხების გადაწყვეტისას.

საკ. კ. პ. (გ) ც. კ.-ის პლენუმი თავის 1937 წ. 5 მარტის გადაწყვეტილე-  
ბაში ამხანავ სტალინის მოხსენების გამო „პარტიული მუშაობის ნაკლო-  
ვანებებსა და ტროკისტ და სხვათა თვალთმაქცო ლრკვიდაციის ლონის-  
ძიებებზე“ მიგვითითებდა:

„ზოგიერთი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელის ნაკლს წარმოადგენს-  
ის, რომ ისინი ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან ადამიანებს, პარტიის-  
წევრებს, მუშაკებს. უფრო მეტიც, ისინი არ სწავლობენ მუშაკებს, არ იციან-  
რით ცხოვრობენ ისინი და როგორ იზრდებიან ისინი, საერთოდ არ იცნობენ  
თავის კადრებს. სწორედ ამიტომ ისინი არ იჩენენ ინდივიდუალურ მიღვო-  
მას პარტიის, წევრებისადმი, პარტიის მუშაკებისადმი. ხოლო ინდივიდუა-  
ლური მიღვომა მთავარ საქმეს შეადგენს ჩვენს ორგანიზაციულ მუშაო-  
ლური მიღვომა მთავარ საქმეს შეადგენს ჩვენს ორგანიზაციულ მუშაო-

ჰაში. და სწორედ იმიტომ, რომ ისინი ან იჩენენ ინდივიდუალურ მიღვობას პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაკების შეფასებისას, ისინი ჩვეულებრივ განუსჯელად მოქმედებენ: ან აქებენ მათ ხელალებით, უზომოდ, ან და ხელალებით ურტყამენ მათ აგრეთვე უზომოდ, პარტიიდან რიცხავენ ათასობით და ათიათასობით. ზოგიერთი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელნი საერთოდ ცდილობენ იაზროვნონ ათეულ-ათასობით, არ ზრუნავენ რა „ერთეულებზე“, პარტიის ცალკეულ წევრებზე, მათს ბედილბალზე. პარტიიდან ათასობით და ათიათასობით ადამიანთა გარიცხვას, ისინი სულ უბრალო საქმედ სთვლიან და თავს იმით ინუგეშებენ, რომ ჩვენი პარტია დიდია და ათიათასობით გარიცხულთ არ შეუძლიათ შესცვალონ რამე პარტიის მდგომარეობაშიო. მაგრამ პარტიის წევრებისადმი ასეთი მიღვომა მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეუძლიათ, რომელნიც არსებითად ღრმად ანტიპარტიული არიან.

ადამიანებისადმი, პარტიის წევრებისა და პარტიული მუშაკებისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად ხელოვნურად იქმნება უკმაყოფილება და გაბოროტება პარტიის ერთ ნაწილში.

გასავებია, რომ ტროცკისტი თვალთმაქცები მარჯვედ იგდებენ ხელში აქეთ გაბოროტებულ ამხანაგებს და მოხერხებულად ითრევენ მათ თავისკენ ტროცკისტული მავნებლობის ჭაობში“.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის ამავე გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

„დაგმობილ იქნას პრაქტიკა ფორმისლური და უსულგულო ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა პარტიის ცალკეულ წევრთა ბედილბლის, პარტიის წევრების პარტიიდან გარიცხვის ან გარიცხულების პარტიის წევრთა უფლებებში აღდგენის საკითხისადმი.“

დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს გამოიჩინონ მაქსიმუმი სიფრთხილისა და ამხანაგური მზრუნველობისა პარტიიდან გარიცხვის ან გარიცხულების პარტიის წევრთა უფლებებში აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას“.

1936 წლის 24 ივნისის წერილში „პარტიული დოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის დროს პარტიიდან გარიცხულთა აპელაციების განხილვისას დაშვებული შეცდომების შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მიუთითებდა პარტიული ორგანოების არასერიოზულ, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში, უსულგულო ჩინოვნიკურ დამოკიდებულებაზე პარტიიდან გარიცხულთა აპელაციების გარჩევისადმი:

„წინააღმდეგ ც. კ-ის მითითებებისა, — ნათქვამია ამ წერილში, — გარიცხულთა აპელაციების განხილვა მეტად ნელა მიმდინარეობს. ბევრი გარიცხული თვეობით ცდილობს — გარჩეულ იქნას მათ მიერ შეტანილი აპელაციები. დიდაღი აპელაციების განხილვა ხდებოდა დაუსწრებლად, აპელაციების შემტანთა განცხადებების სრულიად შეუმოწმებლად, აპელაციების შემტანთათვის იმ შესაძლებლობის უზრუნველყოფის გარეშე, რომ მიეცათ დაწვრილებითი ახსნა-განმარტებანი პარტიიდან მათი გარიცხვის მიზეზების თაობაზე.

მთელ რიგ რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში დაშვებულ იქნა სრულიად შეუწყნარებელი თვითონებობა პარტიიდან გარიცხულების მიმართ. ისეთებს, რომლებიც პარტიიდან გარიცხული იყვნენ სოციალური წარმოშობის დაფურვისა და პასიურობისათვის და არა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათი მტრული მოქმედების მოტივებით, ავტომატიურად ხსნიდნენ სამუშაოდან, ართმევდნენ ბინებს და ა. შ.

ამრიგად ამ პარტორგანიზაციების პარტიული ხელმძღვანელნი, ჯეროვნად არ შეითვისეს რა პარტიის მითითებანი ბოლშევიკური სიფრიზების შესახებ, პარტიული დოკუმენტების შემოწმების დროს გარიცხულაა აპელაციების განხილვისადმი თავისი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებით ხელს უწყობდნენ პარტიის მტრებს".

როგორც ვხედავთ, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მიცემული ჰქონდათ გამაფრთხილებელი მითითებანი.

და მაინც, მიუხედავად ამისა, ბევრი პარტორგანიზაცია და მათი ხელმძღვანელები განაგრძობენ პარტიის ცალკეულ წევრთა ბედისაღმი ფორმალურ და უსულგულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას.

ცნობილია საქმაოდ ბევრი ფაქტი, როცა პარტიული ორგანიზაციები სრულიად შეუმოწმებლად და, მაშასადამე, დაუსაბუთებლად რიცხავენ კომუნისტებს პარტიიდან, ართმევენ მათ სამუშაოს, ხშირად აცხადებენ კიდეც, სრულიად უსაფუძვლოდ, ხალხის მტრებად, უკანონობას და თვითნებობას სჩადიან პარტიის წევრების მიმართ.

ასე, მაგალითად: აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1937 წლის 5 ნოემბრის ერთ სხდომაზე მექანიკურად დაადასტურა 279 კაცის გარიცხვა პარტიიდან; სტალინგრადის ოლქკომმა 26 ნოემბერს დაადასტურა 69 კაცის გარიცხვა; ნოვოსიბირსკის ოლქკომმა 28 ნოემბერს მექანიკურად დაადასტურა საკ. კ. პ. (ბ) რაიკომთა გადაწყვეტილებანი პარტიიდან 72 კაცის გარიცხვის შესახებ; ორჯონიკიძის სამხარეო პარტიულ ორგანიზაციაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგიამ გააუქმა, როგორც არასწორი და სრულიად დაუსაბუთებელი, გადაწყვეტილებანი პარტიიდან 101 კომუნისტის ვარიცხვის შესახებ 160 კაციდან, რომლებსაც შეტანილი ჰქონდათ აპელაციები; ნოვოსიბირსკის პარტიულ ორგანიზაციაში ამგვარადვე საჭირო გახდა 80-დან 51 გადაწყვეტილების გაუქმება; როსტოვის პარტორგანიზაციაში 66-დან გაუქმებულ იქნა 43 გადაწყვეტილება; სტალინგრადის პარტორგანიზაციაში — 103-დან 58; სარატოვისაში — 134-დან 80; კურსკის პარტორგანიზაციაში — 92-დან 56; ვინნიცის პარტორგანიზაციაში — 337-დან 164 და ა. შ.

ხარჯოვის ოლქის ბევრ რაიონში „სიფრიზლის“ საბაბით ადგილი აქვს მრავალრიცხვან ფაქტებს, როცა პარტიიდან გარიცხულ და უპარტიო შუშაკებს უკანონოდ ითხოვენ სამუშაოდან და უარს ეუბნებიან სამუშაოს მიცემაზე. ზმიევის რაიონში 1937 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში უმიზებოდ მოხსნეს სამუშაოდან 36 მასწავლებელი და განზრახულია კიდევ 42-ის დათხოვნა. შედეგად, ტარანოვკის, ზამოსტიაუნოეს, სკრიპავვკის

და სხვა სოფლების სკოლებში არ ასწავლიან ისტორიას; სსრ კავშირის კონსტიტუციას, რუსულს, უკრაინულს და უცხო ენებს.

ქ. ზმიერში საშუალო სკოლაში ბიოლოგიას ასწავლიდა მასწავლებელი უურკო, დაბადებული 1904 წელს, კოლმეურნის ქალიშვილი, — 8-წლიანი პედაგოგიური სტაჟის მქონე, პედინსტიტუტის მე-4 კურსის დაუსწრებელი მსმენელი. ადგილობრივ გაზეთში დაიბეჭდა შენიშვნა მის ძმაზე, რომელიც პედაგოგად მუშაობს ქ. იზიუმში, როგორც ნაციონალისტზე. ეს საკანკალო აღმოჩნდა უურკოს სამუშაოდან დათხოვნისათვის. ამხ. უურკოს დათხოვნასთან დაკავშირებით, პოლიტიკური უნდობლობა გამოეცხადა მის ქმარს და დაისცა საკითხი აგრძოვე მისი დათხოვნის შესახებაც. შემოწმებისას კი გამოირკვა, რომ შენიშვნა უურკოს ძმის შესახებ ცილისმწამებლური აღმოჩნდა და იგი სამუშაოდან არ მოუხსნიათ.

ქ. ხარკოვში ერთი დაპატიმრებული ტროცკისტი ქალის გორსკიას საქმეზე შინსახკომის ორგანოებმა დაპკითხეს როგორც მოწმეს, ტინიაკოვის სახელობის ფაბრიკის ქარხომის მუშაკ ქალს ეინგორნს. შინსახკომში მისი გამოძახების შესახებ მან აცნობა სპეცნაწილის უფრიოს სემიონოვს, რომელმაც ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დასვა ქარხნის პარტკომის სხდომაზე საკითხი ეინგორნის კავშირის შესახებ ტროცკისტ გორსკასთან. ამის შედეგად, ეინგორნი შოხსნეს ქარხომში მუშაობიდან. და დაითხოვდს. ეინგორნის დის ქმარი, რომელიც ადგილობრივი გაზეთის რედაქტურაში მუშაობდა, დათხოვნილ იქნა იმისთვის, რომ „არ აცნობა მისი ცოლისდის კავშირის შესახებ ტროცკისტებთან“.

საკ. კ. პ. (ბ) კურსკის ოლქურიმა სრულიად შეუმოწმებლად, დაუსწრებულად გარიცხა პარტიიდან და დაპატიმრებინა პარტიის წევრი დმიტრო ტარანოვსკის შაქრის ქარხნის თავმჯდომარე ივანჩენკოვა, მიაწერა რა მას შეგნებული კონტრრევოლუციური მომზადება უპარტიო მუშის კულინიჩენკოს, გამოსვლისა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წინასაარჩევნო კრებაზე. შემოწმებისას გამოირკვა, რომ ივანჩენკოვას მთელი „დანაშაული“ იმაში მდგომარეობდა, რომ წინასაარჩევნო კრებაზე უპარტიო მუშა კულინიჩენკო მას შემდეგ, რაც მან უამბო კრებას თავისი ახოვრების შესახებ, დაიბნა გამოსვლის დროს და დაავიწყდა დაესახელებინა უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის გვარი.

კუიბიშვილის ოლქის ბევრ რაიონში პარტიიდან გარიცხულ იქნა მრავალი კომუნისტი იმ მოტივით, რომ ისინი ხალხის მტრები არიან. ამავე დროს, შინსახკომის ორგანოები ვერავითარ საფუძველს ვერ პოულობენ პარტიიდან ამ გამორჩეულთა დაპატიმრებისათვის. მაგალითად, საკ. კ. პ. (ბ) ბოლშე-ჩერნიგოვის რაიკომმა პარტიიდან გარიცხა და ხალხის მტრებად გამოაცხადა 50 კაცი რაიონულ პარტორგანიზაციაში შეკოდ 210 კომუნისტის საერთო რაოდენობიდან, მაშინ, როცა ამ გამორჩეულებიდან 43-ს მიმართ შინსახკომის ორგანოებმა ვერავითარი საფუძველი ვერ ნახეს დაპატიმრებისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის კუიბიშვილის ოლქის პარტკოლეგიაში ცხადდებიან ბევრნი საკ. კ. პ. (ბ) რაიკომების მიერ გარიცხულნი, რო-

ეორც ხალხის მტრები, და მოითხოვენ ან დააპატიმრონ ისინი, ან მოხსნარ მათ სამარცხვინო დალი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მოქოვება ცნობები იმის შესახებ, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს სხვა პარტორგანიზაციებშიც.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენური სთვლის, რომ ყველა ეს და მსგავსი ფაქტები პარტორგანიზაციებში გავრცელებულია უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ კომუნისტებს შორის არსებობენ, ჯერ კიდევ არ არიან გამომუდავნებული და მხილებული ცალკეული კარიერისტი-კომუნისტები, რომლებიც ცდილობენ თავი გამოიჩინონ და დაწინაურდნენ პარტიიდან გარიცხვებით, პარტიის წევრთა წინააღმდეგ რეპრესიებით, ცდილობენ პარტიის წევრთა წინააღმდეგ ხელადებითი რეპრესიების გამოყენების გზით თავი დაიზღვიონ სიცხიზლის ნაკლებობაში შესაძლო ბრალდებისაგან.

ასეთი კარიერისტი-კომუნისტი ფიქრობს, რომ რაკი პარტიის წევრზე შეტანილია განცხადება, თუნდაც არასწორი ან პროვოკაციულიც კი, იგი, პარტიის ეს წევრი, საშიშია ორგანიზაციისათვის და საჭიროა რაც შეიძლება: მალე განთავისუფლდეს მისგან, რათა თავი გამოიყვანოს ფხიზელ კაცად. ამიტომ მას ზედმეტად მიაჩნია ობიექტურად გაერკვეს კომუნისტი-სათვის წაყენებულ ბრალდებებში და წინასწარ სწყვეტს, რომ აუცილებელია მისი გარიცხვა პარტიიდან.

ასეთი კარიერისტი-კომუნისტი, სურს რა მოიპოვოს დამსახურება, სრულიად განურჩევლად ავრცელებს პანიკას ხალხის მტრების შესახებ და ადვილად იწყებს ყვირილს პარტკრებებზე რამე ფორმალური საპუთით, ან სრულიად უსაბუთოდ პარტიიდან პარტიის წევრთა გარიცხვის შესახებ. პარტიული ორგანიზაციები კი ხშირად კუდში მისდევენ ასეთ მყვირალა კარიერისტებს.

ასეთი კარიერისტი-კომუნისტი გულგრილად ეკიდება პარტიის წევრთა ბედილბალს და მზად არის შეგნებულად უმართებულოდ გარიცხოს პარტიიდან ათობით კომუნისტები იმისათვის, რომ თვითონ ფხიზელ კაცად გამოიყურებოდეს: იგი მზად არის მცირემნიშვნელოვანი დანაშაულებისათვის გარიცხოს პარტიის წევრები პარტიიდან, რათა მიიწეროს „დამსახურება“ მტრების მხილებაში, ხოლო თუ ზემდგომი პარტიული ორგანოები აღადგენენ პარტიიდან უმართებულოდ გარიცხულთ, ოდნავ უხერხულობასაც არ გრძნობს და სდგება იმ ადამიანის პოზაში, რომელიც კრძალავილია იმით, რომ მან ყოველ შემთხვევაში დაიზღვია თავი „სიცხიზლის“ მხრივ.

პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები იმის ნაცვლად, რომ ყალბი სიცხიზლის ნილაბი ჩამოვლივონ ასეთ „კომუნისტებს“ და სააშკარაოზე გამოიყვანონ: ისინი, ხშირად თვითონ უქმნიან მათ პარტიის რიგების სიწმინდისათვის ფხიზელ მებრძოლთა შარავანდელს.

დროა ვამხილოთ ასეთი უკაცრავად პასუხია კომუნისტები და დავგმოთ ისინი, როგორც კარიერისტები, რომლებიც ცდილობენ მოიპოვო

დამსახურება პარტიიდან გარიცემებით, ცდილობენ თავი დაიზღვიონ პარტიის წევრთა წინააღმდეგ რეპრესიებით.

შემდეგ, ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა ხალხის შენიღბული მტრები, მავნებელ-თვალმაქები პროვოკაციული მიზნებით აწყობენ ცილისმწამებლურ განცხადებათა შეტანას პარტიის წევრებზე და „სიცხიზლას გაშლის“ საბაბით აღწევენ საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან პატიოსანი და თავდადებული კომუნისტების გარიცევას, რითაც იცდენენ დარტყმას და თავს ინარჩუნებენ პარტიის რიგებში.

ხალხის მსილებული მტრი, საკ. კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების განყოფილების ყოფილი გამგე შაცი და მისი თანამონაწილები, სარგებლობდნენ რა საკ. კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელთა პოლიტიკური სიბეჭით, პარტიიდან რიცხავდნენ პატიოსან კომუნისტებს, აშკარად არასწორი სასჯელი გამოჰქმდათ მუშაკებისათვის, ყოველნაირად აბოროტებდნენ კომუნისტებს და ამავე დროს ყველაფერს აკვთებდნენ, რაც კი შესაძლებელი იყო, თავისი კონტრრევოლუციური კადრების შესანარჩუნებლად პარტიაში.

იმავე როსტოვში, საკ. კ. პ. (ბ) როსტოვის საოლქო კომიტეტის სკოლების განყოფილების ყოფილმა გამგემ ხალხის მტერმა შესტოვამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით როსტოვის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციაში ჩატარა 30-დე პატიოსანი კომუნისტის გარიცხვა პარტიიდან.

უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი, ხალხის მტერი კუდრიავცევი პარტიულ კრებებზე გამოსულ კომუნისტებს მუდამ მიმართავდა პროვოკაციული კითხვით: „თქვენ კი თუნდაც ვინმეს შესახებ დაგიწერიათ განცხადებაო?“ ამ პროვოკაციის შედეგად კიევში შეტანილ იქნა პოლიტიკურად სახელგამტეხი განცხადებანი ქალაქის პარტორგანიზაციის წევრთა თითქმის ნახევარზე, ამასთან განცხადებათა უმეტესობა აღმოჩნდა აშკარად არასწორი და პროვოკაციულიც კი.

საკ. კ. პ. (ბ) ქ. სტალინგრადის ბარიკადის რაიკომის აწ მხილებულმა მტრულმა ხელმძღვანელობამ „ანტისაბჭოთა ლაპარაკისათვის“ პარტიიდან პროვოკაციულად გარიცხა და დააპატიმრებინა პარტიის წევრი 1917 წლიდან მოხნატკინი, ყოფილი წითელი პარტიზანი, ქარხანა „ბარიკადის“ ერთერთი უდიდესი საამქროს უფროსი. როგორც შემოწმების შედეგად გამოირჩვა, ეს „ანტისაბჭოთა ლაპარაკი“ იმაში გამოიხატებოდა, რომ ამხ. მოხნატკინი ამხანაგებთან საუბარში უკმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ სოფლისაბჭო უსულებულოდ ეპყრობოდა იმ პარტიზანულ რაზმის მეთაურის, სამოქალაქო ომის წლებში თეთრებთან ბრძოლის დროს მოკლების შვილებს, რომელშიც მოხნატკინი იყო მეთაურის თანაშემწედ. ამხ. მოხნატკინი პარტიის წევრის უფლებებში მხოლოდ მას შემდეგ იქნა აღდგენილი, როცა საქმეში ჩაერია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტიან არსებული პარტიული კონტროლის კომისია.

პარტიულ აპარატში შემძვრალი მტრების პროვოკაციული მუშაობის ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდათ აგრეთვე ვორონეჟის, კრასნოდარის, ჩელიაბინსკის და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

ყველა ეს ფაქტი ხვიჩვენებს, რომ მრავალმა ჩვენმა პარტორგანიზაციაში და მათმა ხელმძღვანელებმა დღემდე ვერ შესძლეს შეემჩნიათ და ემსილებინათ ოსტატურად შენილბული მტერი, რომელიც ცდილობს ყვირილით სიცხიზლის შესახებ შენილბოს თავისი მტრობა და თავი დაირჩინოს პარტიის რიგებში — ეს ერთი, — და მეორე, ცდილობს რეპრესიათა ზომების გატარების ვზით — გაანალგუროს ჩვენი ბოლშევიკური კადრები, დასთესოს დაურწმუნებლობა და ზედმეტი ეჭვიანობა ჩვენს რიგებში.

ასეთი შენილბული მტერი — უბოროტესი გამცემელი — ჩვეულებრივ ყველაზე მაღლა გაჰყვირს სიცხიზლეზე, ჩქარობს რაც შეიძლება უფრო მეტი „აშხილოს“ და ყოველივე ამას სჩადის იმ მიზნით, რომ დაპუაროს თავისი საკუთარი დანაშაულობანი პარტიის წინაშე და ჩამოაშოროს პარტიული ორგანიზაციის ყურადღება ხალხის ნამდვილი მტრების მხილებს.

ასეთი შენილბული მტერი — საზიზლარი თვალთმაქცი — ყოველნაირად ისწრაფვის შეჯმნას პარტორგანიზაციებში ზედმეტი ეჭვიანობის ვითარება, როცა პარტიის თვითეულ წევრს, რომელიც ვინმეს მიერ ცილდანაშაბები მეორე კომუნისტის დასაცავად გამოვიდა, დაუყოვნებლივ ბრალს სდებენ სიცხიზლის უქონლობაში და ხალხის მტრებთან კავშირ-ურთიერთობაში.

ასეთი შენილბული მტერი — საძაგელი პროვოკატორი — იშ შემთხვევებში, როცა პარტორგანიზაცია იწყებს კომუნისტზე შეტანილი განცხადების შემოწმებას, ყოველნაირად ჰქმნის პროვოკაციულ ვითარებას აშ შემოწმებისათვის, კომუნისტის გარშემო სთესავს პოლიტიკური უნდობლობის ატმოსფეროს და ამით, საჭის ობიექტიური გარჩევის ნაცვლად, მის წინააღმდეგ აწყობს ახალ განცხადებათა ნაკადს.

პარტიული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები ნაცვლად იმრთა, რომ გამოამულავნონ და ამხილონ ასეთი შენილბული მტრის პროვოკაციული მუშაობა, ხშირად კუდში მისდევენ მას, უქმნიან მას დაუსჯელობის ვითარებას პატიოსანი კომუნისტების წინააღმდეგ ცილისწამებისათვის და თვითონ აღგებიან პარტიიდან მასობრივი დაუსაბუთებელი გარიცხვის; სასჯელთა დადების გზას და ა. შ. კიდევ მეტი, თვით იმ მტრების მხილების შემდეგაც, რომელიც შეიპარნენ პარტიულ აპარატში და ცილს სწაბებენ პატიოსან კომუნისტებს, ჩვენი პარტიული ხელმძღვანელები ხშირად არ იღებენ ზომებს პარტიულ ორგანიზაციებში მავნებლობის ლიკვიდაციისათვის პარტიიდან კომუნისტების არასწორ გარიცხვათა მხრივ.

დროა ყველა პარტიულმა ორგანიზაციაში და მათმა ხელმძღვანელებმა ამხილონ და ბოლომდე მოსპონ შენილბული მტერი, რომელიც შეიპარა ჩვენს რიგებში და ცდილობს ყალბი ყვირილით სიცხიზლის შესახებ დაპუაროს თავისი მტრობა. და თავი დაირჩინოს პარტიაში, რათა განაგრძოს მასში თავისი საზიზლარი გამცემლური მუშაობა.

რით აიხსნება, რომ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დღემდე პრაცილეს და სამარცხვინო ბოძზე არ გააკრეს არათუ კარიერისტი-კომუნისტები, რომელნიც ცდილობენ თავი გამოიჩინონ და დაწინაურდნენ პარტიიდან გარიცხვებით, არამედ შენიღბული მტრებიც პარტიის შიგნით, რომელნიც ცდილობენ სიფხიზლის შესახებ ყვირილით დაპფარონ თავისი მტრობა და თავი დაირჩინონ პარტიაში, რომელნიც ცდილობენ რეპრესიათა ზომების გატარების გზით გაანადგურონ ჩვენი ბოლშევიკური კადრები და დასთესონ ზედმეტი ეჭვიანობა ჩვენს რიგებში?

ეს აიხსნება დანაშაულებრივ-ქარაფშუტული დამოკიდებულებით პარტიის წევრთა ბედილბლისადმი.

ყველასათვის ცნობილია, რომ ბევრი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელი აღმოჩნდა პოლიტიკურად ბეკი საქმიანი, მათ საშუალება მისცეს ხალხის მტრებს და კარიერისტებს გვერდი აევლოთ მათთვის და ქარაფშუტულად მეორეხარისხოვან მუშაკებს მიანდვეს მთლიანად იმ საკითხების, გაღაწრა, რომლებიც პარტიის წევრთა ბედილბალს ეხებიან, და დანაშაულებრივად განზე გადგნენ ამ საქმის ხელმძღვანელობისაგან.

საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მათი ხელმძღვანელები არათუ ასწორებენ ანტიპარტიულ, ბოლშევიზმისათვის უცხო პრაქტიკას პარტიიდან კომუნისტების გარიცხვის საქმეში, არამედ ხშირად თვითონ, თავისი არასწორი ხელშეღვანელობით, ნერგავენ ფორმალურ და უსულგულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას პარტიის წევრებისადმი და ამით ჰქმნიან ხელსაყრელ ფორმა კარიერისტ-კომუნისტებისა და პარტიის შენიღბული მტრებისათვის.

არ ყოფილა არცერთი შემთხვევა, რომ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, საქმეში გარკვევის შემდეგ, დაეგმოთ პარტიის წევრებისადმი ხელალებითი, საერთო მიღვომის პრაქტიკა, პასუხისმგებაში მიეცათ აღვილობრივ პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. პარტიიდან კომუნისტების დაუსაბუთებელი და არასწორი გარიცხვისათვის.

პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ არასწორად გამორიცხულთა მიმართ შეცდომების გამოსწორებას შეუძლია ძირი გამოუთხაროს პარტიის ავტორიტეტს და ავნოს ხალხის მტრების მხილების საქმეს, მათ არ ესმით, რომ პარტიიდან არასწორი გარიცხვის თვითეული შემთხვევა ხელსაყრელია პარტიის მტრებისათვის.

ბევრ საოლქო და სამხარეო ორგანიზაციაში სრულიად უმოძრაოდ აწყვდა დიდალი განუხილველი აპელაციები. როსტოვის ოლქში არ არის განხილული 2500-ზე მეტი აპელაცია, კრასნოდარის მხარეში — 2.000. სმოლენსკის ოლქში — 2.300, ვორონეჟის ოლქში — 1.200, სარატოვის ოლქში — 500 და სხვ.

საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა, ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, ხელი აიღეს რა გარიცხულთა აპელაციების განხილვაზე, წინააღმდეგ პარტიის წესდებისა, საკ. კ. პ. (ბ) რაიკომებისა.

და საქალაქო კომიტეტების გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე გადააქციებულ უდელაციო და საბოლოო გადაწყვეტილებებად.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, ნაციონალური კომიტეტები არსებითად განვითარებით გადაწყვეტილი არგანიზაციების საქმიანობის ხელმძღვანელობისაგან ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე საკითხში, პარტიის წევრთა ბედიღბლის საკითხში, და ამ საკითხის გადაჭრა მიანდვეს თვითდინებას, ხშირად კი თვითნებობასაც.

საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, ნაციონალური კომიტეტები თვითონ უწყობენ ხელს პარტიიდან მსახობრივად ხელაღებით გარიცხვათა პრაქტიკას იმით, რომ დაუსჯელად სტოვებენ იმ პარტიულ ხელმძღვანელებს, რომლებიც უშვებენ თვითნებობას კომუნისტების მიმართ.

დროა ბოლო მოვულოთ ბოლშევიკებისათვის უცხო, ფორმალურ და უსულეულო ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას აღამიანებისადმი, პარტიის წევრებისადმი.

დროა შევიგნოთ, რომ:

„პარტია პარტიის წევრისათვის მეტად დიდ და სერიოზულ საქმედ გახდა და პარტიის წევრობა ან პარტიიდან გარიცხვა — ეს დიდი გარდატეხაა აღამიანის ცხოვრებაში“.

დროა შევიგნოთ, რომ:

„პარტიის რიგითი წევრებისათვის პარტიაში ყოფნა ან პარტიიდან გარიცხვა, — ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია“. (სტალინი).

დროა შევიგნოთ, რომ ბოლშევიკური სიფხიზლის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ გქონდეს უნარი ამხილო მტერი, რა რიგ ცბიერიც და გაქნილიც უნდა იყოს იგი, რა სამოსელითაც უნდა ირთვებოდეს იგი, და არა იმაში, რომ ვანურჩევლად ან „ყოველი შემთხვევისათვის“ ათობით და ასობით რიცხავდე პარტიიდან ყველას, ვინც ხელში მოგხვდება.

დროა შევიგნოთ, რომ ბოლშევიკური სიფხიზლე არათუ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს უნარს გამოიჩინო მაქსიმუმი სიფრთხილი და ამხანაგური ზრუნვა პარტიიდან გარიცხვის ან პარტიის წევრთა უფლებებში გარიცხულების აღდგენის საკითხების გადაჭრისას.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოითხოვს ყველა პარტიული ორგანიზაციისა და მათი ხელმძღვანელებისაგან ყოველნაირად გააძლიერონ პარტიული მასების ბოლშევიკური სიფხიზლე, ბოლომდე ამხილონ და აღმოფხვრან პარტიის ყველა ნებსითი და უნებლივ მტერი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამ ამოცანის წარმოებით გადაჭრის უმნიშვნელოვანეს პირობად სთვლის — აღამიანებისადმი, პარტიის წევრებისადმი ხელაღებითი, არაინდივიდუალური, საერთო მიღვომის ანტიპარტიული პრაქტიკის სრულ ლიკვიდაციას.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაციონარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და ყველა პარტიულ ორგანიზაციას.

გადაჭრით მოულონ ბოლო პარტიიდან მასობრივ, ხელაღებითს გარიცხვებს და ნამდვილად დაწესონ ინდივიდუალური, დიფერენცირებული მიდგომა პარტიიდან გარიცხვის ან პარტიის წევრთა უფლებებში გარიცხულთა დადგენის საკითხების გადაჭრისას.

2. დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს; ნაცკომ-პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მოხსნან პარტიული პოსტებიდან და მისცენ პარტიულ პასუხისგებაში ის პარტიული ხელმძღვანელები, რო-მელნიც არ ასრულებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექ-ტივებს, პარტიიდან ჩიცხავენ. საკ. კ. პ. (ბ) წევრებსა და კანდიდატებს ისე, რომ გულმოდგინეთ არ ამოწმებენ მთელ მასალას, და უშვებენ თვით-ნებობას პარტიის წევრთა მიმართ.

3. წინადადება მიეცეთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლე-ვიებს სამი თვის ვადაში დაამთავრონ პარტიიდან ყველა გარიცხულის აპელაციათა განხილვა.

4. დაევალოს ყველა პარტიულ კომიტეტს თავის დადგენილებებში პარტიიდან კომუნისტებს გარიცხვის შესახებ ნათლად და ზუსტად აღ-ნიშნონ მოტივები, რომლებიც გახდა გარიცხვის საფუძველი, რათა ზემ-დგომ პარტიულ ორგანოებს შესაძლებლობა ჰქონდეთ შეამოწმონ ამ დად-გენილებათა სისწორე, ხოლო რაიკომის, საქალაქო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის ან ნაცკომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თვითეული ასე-თი დადგენილება აუცილებლად გამოქვეყნდეს პრესაში.

5. დაწესდეს, რომ პარტიული ორგანოები, აღადგენენ რა პარტიის წევრთა უფლებებში ადგილობრივი პარტორგანიზაციების მიერ უმარ-თებულოდ გამორიცხულო, ვალდებული არიან თავის დადგენილებებში. ზუსტად აღნიშნონ, თუ საკ. კ. პ. (ბ) რომელმა რაიკომის, საქალაქო კო-მიტეტმა უნდა მისცეს პარტიაში აღდგენილს პარტიული დოკუმენტები.

6. დაევალოთ პარტიის რაიკომებს, საქალაქო კომიტეტებს დაუყოვ-ნებლივ მისცენ პარტიული დოკუმენტები პარტიაში აღდგენილთ, ჩააბან ისინი პარტიულ მუშაობაში და განუმარტონ პირველადი პარტორგანიზა-ციების ყველა წევრს, რომ ისინი პასუხს აგებენ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში აღ-დგენილთა ბოლშევიკური აღზრდისათვის.

7. დაევალოთ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელნიც დამნაშავენი არიან პარტიის წევრებისათვის ცილისწამებაში, სავსებით მოახდინონ პარტიის ამ წევრთა რეაბილიტაცია-და გამოქვეყნონ პრესაში თავისი დადგენილებანი იმ შემთხვევებში, როცა წინასწარ მოთავსებული იყო პრესაში პარტიის წევრის სახელგამ-ტეხი მასალები.

8. აეკრძალოთ პარტორგანიზაციებს შეიტანონ კომუნისტის სააღრიცხ-ვო ბარათში პარტიიდან შისი გარიცხვის ფაქტი სააპელაციო საჩივრის განხილვამდე და გარიცხვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამო-ტანამდე.

9. აიკრძალოს არასწორი, მავნე პრაქტიკა, როცა საკ. კ. პ. (ბ)-დან გა-  
რიცხულებს დაუყოვნებლივ ხსნიან მათ მიერ დაკავებული თარიმდებო-  
ბიდან.

დაწესდეს, რომ ყველა შემთხვევაში, როცა საჭირო ხდება, საკ. კ. პ. -  
(ბ)-დან გარიცხვასთან დაკავშირებით, განთავისუფლებულ იქნას მუშაკი  
დაკავებული თანამდებობიდან. ეს განთავისუფლება შეიძლება მოხდეს  
მისთვის მხოლოდ სხვა სამუშაოს მიცემის შემდეგ.

10. დაევალოთ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცენმ-  
პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს არაუგვიანეს 1938 წლის 15 თებერ-  
ვლისა უზრუნველყონ სათანადო საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების  
საშუალებით საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა მიღება სამუშაოზე და შემ-  
დეგში არ დაუშვან ისეთი მდგომარეობა, რომ საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიც-  
ხულნი სამუშაოს მოკლებულნი რჩებოდნენ.

---

# ტეატრის დოკუმენტები

ასტორი გარეთაშვილი

## *რებინი აქციების შესახებ*

მოგონებაში ვერ ავკინძავ ოქტომბრის დღეებს.  
 არც მინახვიხარ,  
 ბავშვი ვიყავ მაშინ პატარა.  
 გვიან... ფიქრებში ვაყვავებდი არნახულ სეებს,  
 შენზე აცნებამ  
 შენი გზები შემომატარა.  
 გავოცებულვარ არნახული სიბუმბერაზით,  
 შენზე ფიქრებში  
 ხშირად ღამე ღამიზევია...  
 შემოვხევივარ შორით მაგ შუბლს ბავშურ სინაზით  
 და ნაფიქრალი  
 ფიანდაზად ღამირჩევია.

— " —

...შემდეგ —  
 ჭინჭრებით ღასუსხული დღე იანვარის...  
 ეს მოგონება ახლაც მკაწრავს,  
 თითქოს მაშინებს...  
 არა!  
 ეს იყო შემზარავი, მძიმე სიზმარი...  
 ვხედავდი: ყველგან გლოვასა და  
 თალხის არშეებს.  
 ქარხნის ზრიალი,  
 ორთქლმავლების ცივი კივილი,  
 ბარს ასხლეტილი,  
 იჭრებოდა ღანისლულ მთაში...  
 ვიდექ გამშრალი,  
 აუწერელ გულის ტკიტილით  
 და შემოდგომის ფოთოლივით  
 აკორთოლი მაშინ...



3. D. M 06060

...შემდეგ: მოსკოვი,  
მავზოლეი;  
გნახე მძინარე,  
მოკუმულ პირით, უსიცოცხლო, უძრავ თვალებით.  
„ნეტავ მენახა იგი ბაგე.  
ლია, მცინარე“...  
ბევრჯელ ვინატრე ანთებული იდუმალებით.

— ” —

...და ეს რა არის?  
მოლანდება მე არ მჩვევია!  
ხორცი შესხმია  
ოცნებებში მოხაზულ სახეს!  
აგერ!  
კეთილად იღიმები, დიდო გენიავ!  
აგერ!  
ბაგეებს ალგზნებული სიტყვებით არწევ...  
მსახიობია??  
არა!  
ასე ვინ გიმზგავსებდა!  
სურათი არის?  
არა!  
არის ბრძოლების განცდა.  
გადმოიღვარა დიდი გრძნობა სავსე თასებალ.  
გადმოიღვარა...  
და ყოველ გულს ძირამდე ჩასწვდა...  
მე ალარა მაქვს ცალკე გული,  
არც ცალკე ფიქრი,  
ერთი გული სცემს ამ დარბაზში...  
მაჯაც ერთია...  
ჩვენც შენთან ერთად ვამალებით პეტროგრადს მივქრით,  
ჩვენი განცდებიც  
აზლვავებულ ვანცდებს ერთვიან,  
აი ქალაქიც!  
და ქარხნებში ისერი ნაპერწკლებს...  
შაგარ ჯებირებს  
ზიაწყვიტე გრძნობების ზვავი:  
„ძელი სამყარო უნდა დაესწვათ,  
დროა აფეთქდეს,  
ამ გვინდა ომი,  
მოვიპოვოთ პური და ზავი!“...  
და იმ ნაპერწკლებს მოკუზგუზე ავარდა ალი:

ადგა ქალაქი...  
 და უნდობი გაჩაღდა ბრძოლა.  
 რამდენი გული აგედევნა,  
 რამდენი თვალი...  
 „ლენინ აქ არის!“  
 აღტაცება...  
 შიში და ძრწოლა.  
 მინდა მზრუნველად გინანინო, ტკბილი ალერსით,  
 საღას, უბრალოს,  
 იატაკზე მაღვით მძინარეს,  
 გადმოვალვარო ნაზი გრძნობა გულში ნალესი,  
 მაგ შუბლს...  
 ბაგეებს...  
 ისტორიას რომ აბრწყინვალებს.  
 ვხედავ ჯაშუში გიდარაჯებს...  
 ფიქრში გავკივი:  
 „არ ჩამოხვიდე,  
 შირს სიკვდილი დაგელოდება!“  
 ო, რად არ ძალმიძს,  
 მოლალატეს ჩავკრა მახვილი,  
 ან და უეცრად...  
 თავს დავატყდე მძიმე ლოდებად.  
 სურათი სურათს ღრუბლებივით ასდევნებია...  
 ბრძოლა,  
 ყიუინა,  
 გამარჯვება და სიკისკასე...  
 რა ზეიმია შენს გარშემო!  
 რა განცდებია!  
 დარბაზი ეკრანს  
 და ეკრანი ჩვენს ხმაურს ავსებს.

— :: —

და როცა ისევ  
 გაიცრიცა ეკრანის ფარდა,  
 ელექტრომ თავზე ოქროს ძნები გადმოგვაყარა,  
 თვალი გეძებდა,  
 შენ არ სჩანდი, დიადო, მაგრამ  
 შენზე ოცნებაშ შენი გზები შემოგვატარა.

ସାହିତ୍ୟକାରୀ ଶଳୀକାରୀ

ପାତ୍ରମାନ

ბალში მოსულა მანათობელი,  
გადაუშლია მხრები და შუბლი, —  
ხალხის სიცოცხლე და ახლობელი,  
ახალი მზე და ახალი შუბი.

აქ სიმწვანეა და იფურცლება  
ოქროთნაქარგი ფოთლის სიჩრები,  
ხეც ალარა დგას ბაღში უცვლელად,  
მოკუნტრუშობენ მთიდან იჩრები.

ასე მგონია, ყვავილნარებში  
ჩამოფრქვეულა სხივთა კრებული  
და სივაჟეკაცე დიად მხარეში  
ჰეიმობს ყველგან გამარჯვებული

სასიყვარულოდ თვალს რომ გაახელს,  
ბავშვიც ტიტინებს: ძია ლენინი!  
ასე იქცხებს დიღი სახელი,  
ხალხის გულიდან გაღმოდენილი.

წამომდგარა და ეს გრიგალები  
მარმარილოში გამოკვეთილა,  
ვთიქრობ: ბელადის ბრძენი თვალები  
ნერავ კოცხალი მაინც მეხილა!

და ამ ფიქრებით ბალსაც გავცილდი,  
ყველგან ცხოვრების შნო და სიამე,  
როგორ გვაკაშებს „მთების არწივი“  
ახალი ყოფის ადამიანებს!



ქვეყნის სივრცეზე მხრებ-გადაშლილი  
დგას კოლხიდელი უხვი ნათელით,  
ბეღნიერება — გზა ჯულაშვილის,  
მტრებზე მახვილი და ურუანტელი!

...წამომდგარა და ეს გრიგალები  
მარმარილოში გამოკვეთილა.  
ვფიქრობ: ბელადის ბრძენი თვალები  
ნეტავ ცოცხალი მაინც მეხილა..

პოლონ მუთელია

## ლენინ

კვლავ ცოცხალი ხარ, — სინათლეს აფრქვევა,  
ხარ მაღალი და მზის ელვარება,  
შენს ცეცხლის სიტყვას და უკვდავ საქმეს  
მხოლოდ მზე სავსე შეედარება.

შენ ყველგანა ხარ, და შენი გული  
ჩვენი ცხოვრების ბაირალია,  
ბედნიერების დღე ანთებული  
აყვავებული შენი ბალია.

ვართ ბედნიერი და ალის-ფერი,  
სხივმოსილები, — უსაზღვროდ დიდი;  
სტალინმა გვჭედა ასე ძლიერი,  
შენ რომ ბუმბერაზ არწივად ზრდიდი.

კობამ აანთო შუქი ცხოველი,  
ბედნიერ ხალხის გულს რომ ედება,  
ასე იზრდება ჩვენი ცხოვრება —  
დიდი სტალინის შემოქმედება.

გადაგვიშალა სიბრძნის ქარტია,  
სიბრძნის ფურცელი, — უძლეველობის,  
სადაც უქრობი ცეცხლი ანთია  
ხალხის უფლების და დღეგრძელობის.

კვლავ ცოცხალი ხარ, — სინათლეს გვაფრქვევა;  
ხარ მაღალი და მზის ელვარება,  
შენს დიად სიტყვას და უკვდავ საქმეს  
მხოლოდ მზე სავსე შეედარება.

ალექს გეგეშვილი

## ეჭის დამარაბა

„აქ, 1879 წლის 21 დეკემბერს ფაინადა დიდი ხტალიზო.

წარწერიდან სახლზე, საღაც დაიბადა  
პშობლიური ბელადი.

ეყო ბრძოლა და ხოცვა-ქლეტა, იყო ვაება,  
ჰვენატრებოდა სიხარული და მზის სინათლე,  
შართალი აზრი უსასრულო ღამეს დაება, —  
ღამე გატყდა და დაიბადა ხალხის ძიმართლე.

ცა ულრუბლია, დილა არის, თეთრი დილაა,  
მზე ცაზე არის, ცისკარია დღეს ჩემი გული,  
და მიხარია, ამ ღღემ აღარ დაიგვიანა,  
რომ ჩვენს გულებში ჩაენერგა ეს სიხარული.

მღერის ეს გული, ეს რიგები მღერად მიდიან,  
გალხვა ყინული და სიცივე ძვალს არ გვითოშავს,  
აღფრთოვანება ისე ლრმა და ისე დიდია,  
როგორც ნათელი — ჩვენი მიზნის უძლევი დროშა.

ცეცხლად მოედო ამ ქვეყანას ის განთიადი,  
როცა სხივჭარბი მზის აკვანი ქართლში დაირწა,  
ღამე გაირლვა ტრამალებზე და მზე დიადი  
ნათელ დღეებად დაეფინა ამ დეღამიწას.

დავდივარ ლალად, ახალ მზეზე ვამბობ სიმღერას,  
ჩვენმა ეპოქამ, ხალხმა შობა ეს მზის საღარი,  
ჩვენი სინათლე სტალინია და ჩვენი მზეა,  
შართალი სიტყვის და მართალი საქმის სარდალი.

რა დიადია წელთალრიცხვის ეს მონაცემთი,  
რა ბეღნიერი ამ ეპოქის გმირი თაობა!  
გაივლის წლები, არ დარჩება მოდგმა არც ერთი,  
რომ არ უმღერდეს ჩვენს დიდებას, გამბედაობას.

---

ჩვენი სიმღერა გადასწულება მრავალ ეპოქას,  
მზის დაბადებას რომ უმღერენ ჩვენი გულები,  
შემდგომ თაობებს სიხარულის სიტყვად ეყოფათ,  
რომ მზესთან ვიბრძვით, მძლე რიგებად დარკინულები.

## კლობეოს

ჩემი ოცნების ქრიალა ცაჲე  
მუდამ შენი მზის არი ღიღება,  
მისი სხივები და სილამაზე  
არ ინისლება, არ იბინდება.  
იღიღოს იგი მარად ბრწყინვალე,  
ცასა და მიწას არ მოსწყინდება,  
ქვეყნად დააღნობს ყველა მყინვარებს,—  
მსოფლიო ცაჲე ამობრწყინდება!

მრავალფეროვანს, მრავალმთებიანს,  
აგყვავებია ტყე და ხნულები.  
სახე ღიმილით გაგნათებია,  
გარდი გფენია მკერდზე ულევი.  
შენი კამარა არ იბინდება,  
ზალად ქცეულან უდაბურები,  
ჟველგან გმირობის ისმის ღიღება,  
კვებიც მლერიან გულჩაღგმულები...

გინ აამღერა ამდენი გული?  
ვინ შთააგონა გმირი ამდენი?  
შენს დიდ საზღვრებზე შემორკინული,  
სასწაულების შენთვის ჩამდენი?  
ცას ვინ მოსტაცა მზე ღიღებული,  
ქვეყნად ხალხისთვის გადმონადენი?  
მოხუცი, წლებთან შეჭიდებული,  
მლერის: „მეორედ დავიბადენით“...

მლერიან შენი მთები, ველები,  
შენი ვოლგა და შენი ენგური,

ეს სიხარული, ეს სიმღერები  
ჩვენს გულებშია გადმონერგული.  
მღერიან შენი გარიფრაუები,  
დატუღუბლავი ვარსკვლავთ კრებული,  
მტრის ამყაფავი შენი ვაჟები,  
**თა** და ხმელეთზე გამაგრებული.

# ბატონიშვილი შტაპებით

(„ბლაგოევის“ დაღუპვა)

გემი გრიალით მიარღვევს, აპობს-  
ეგეოსის ზღვის ზეირთებს მგზნებარეს;  
აფრა-გაშლილი ქართან ნავარდობს  
და ესალმება მშობლიურ მხარეს.

ვით თავისუფალ ქვეყნის დიდება —  
ჰიმნი მთრთოლვარე ბაქანზე გრგვინავს;  
გემს გრიგალების არ ერიდება  
და ფრთამაგარი ზღვაზე მიფრინავს.

მოულოდნელად წყლის უფსკრულილან  
წყალქვეშა ნავმა სტყორცნა ტალღები  
და ვერაგულად, ყოველი მხრიდან  
გარს შემოგვერტყნენ ზღვის ყაჩალება.

„—მოგვყევით უკან!“ გესლით ნალესი  
მოისმა ხმები მრისხანე, მწყრალი.  
მაგრამ ჩვენ მედგრად, აღებულ გეზით,  
წყალზე სრიალით განვაგრძეთ კვალი.

თურმე პირატებს განზრახვა სხვა აქვთ,  
როგორც სიკვდილის წინამორბედი,  
ჩვენი ხომალდის დასაძირავად  
გამოაცურეს უცბად ტორპედი.

ქვესკნელის ქუჩილს ზღვამ მისცა ბანი,  
შეირხა გემი გადაყირული;  
ამდროს გმირულად ერთი ჩვენგანი,  
დაეცა წყალზე გულგანგმირული.

ეს იყო გმირი შტეპენქო პეტრე,  
ჰერცოგინია მხნეობა ბოლშევიკური;  
როგორც მესაჭე, ღელვაში ბევრჯერ  
დასჯახებია ქარიშხალს გულით.

როცა კვლებოდა, საფლავის პირად,  
გვითხრა: „სამშობლოს სალაში ჩემი,  
ერთი დაღუპულ გემის მაგივრად,  
გთხოვთ ოცდახუთი აავოთ გემი!

„დე, ვაუკაცურად ძვერდეს გულები,  
(თუმც ჩემი ცურვა დასრულდა, მორჩი);  
მაღლა გეჭიროთ თავისუფლების  
ლენინ-სტალინის ამაყი დროშა!“

გამოვეთხოვეთ მევობარს, ბოლოს,  
და ფიცი დავდეთ სამარის ქვაზე:  
გმირს ათასობით მივცემთ სამშობლოს  
ქვეყნის საბრძოლო მოწოდებაზე.

# თბილი აიონიუსი ქართველი

რა დილაა, ვიშ, რა დილა,  
 რა კრიალა, რა ლურჯთვალა!  
 თითქოს ცეცხლი გაჩენილა,  
 ისე ანთებს მზე ამ ქალაქს.  
 აბრეშუმის ქარხნის შუშებს  
 ავარაყებს წითლად ალი.  
 კომკავშირელ დობილ მუშებს  
 ჰშვენით ეშხის ნაპერწყალი.  
 აი სად ჩქეფს სიხალისე,  
 აი ლექსი ვისზე ითქმის!  
 შათ გარჯას და იერიშებს  
 ანვითარებს შრომის რიტმი.  
 ყაჭი, როგორც რძის ჩანჩქერი,  
 მისრიალებს უწყვეტ ძაფად  
 და მზის სხივთა ოქროს მტვერი  
 ოქროს თავთავს ართავს სწრაფად.  
 თვალ-ტანადი გოგონები  
 შეჰერიან მასრის მწკრივებს  
 და ლამაზი მოგონებით  
 ყველას მკერდი ულივლივებს.  
 დარაზმული დაზგის წყება  
 უძვირფასეს მასალას ქსოვს,  
 ჩანჩალი თუ დაწუნება  
 ამ კოლექტივს ჯერ არ ახსოვს.  
 რა სითბოა, რა ხალისი,  
 რა გულხარობს ქარხნის ჭერი!  
 ნეტავ თქვენი ძმობის ღირსი  
 გვედე, დებო, ამ სიმღერით!

## სიმღერა თბილისე

აინთება დილა თეთრად,  
ცაზე მართავს მზე მარულას,  
და თბილისი ჩვენთან ერთად  
მზეს დაჰვდება მხიარულად.

მზეს დაჰვდება ლალად, ლხენით,  
მთის კალთებზე შემომჯდარი,  
გამოჩნდება სასახლენი,  
როგორც ზღვაში გემთა ჯარი.

ვით წარსულის საჩუქარი,  
დგას ამაყად ნარიყალა,  
ახალ დღეებს მისცა მხარი  
და ნისლები გადიყარა.

მეტები კი — ვით მყინვარი,  
მტრების წინ რომ ქედს არ ხრიდა,  
უწინ სავსე სისხლის ღვარით,  
დღეს — საბჭოთა კულტურითა.

მტკვარს აკვანი გაუკეთეს,  
მოუჭედეს ვერცხლით კიდე,  
მიწას ფერი შეუცვალეს,  
ცას კოშკები ჩამოჰკიდეს.

კაცი საღაც უნდა შესდგეს,  
შუვანე ბალი გულმკერდს გაშლა,  
რომ მშრომელმა შრომის შემდეგ  
დაისვენოს მის წიაღში.

უცემ გახსნის ოქროს თვალებს  
ლამე, ჩუმალ მორბენილი,  
და თბილისის ცაზე მთვარე  
სინა საბჭოთა ორდენივით.

ისევ მოვა ქართლის ქედით  
და სინათლეს მოჰვენს თბილისს  
მზე-სტალინის განაჭედი  
და ბერიას მოტანილი.

### 3. აპალიაშვი

## ჩემი ძელის კარსკურა

გაციმა თუ არა კონდუქტორის ძახილი: „მოემზაღეთ მგზავრებო!“ ყველაფერი აირია. ვაგონში. ტალანი ისე გაიჭედა ხალხით და ბარგით — არა თუ გავლა — განძრევაც კი შეუძლებელი გახდა. მატარებელი კი ბაჟანთან ერთი წუთით ჩერტებოდა მხოლოდ.

ის მომხიბლავი ვოგონს, როგორსაც ხშირად ვხვდებით მგზავრობის დროს, თუ მთელი გზის მანძილზე გადაჭარბებულ სულიერ სიმშვიდეს ამჟღავნებდა, რა შეატყო ამჟამად, საჭმეს მხოლოდ აჩქარება უშველისო, გაფაციცებით დაემშვიდობა გაცნობილ მგზავრებს და გასასვლელისაკენ გზის გაკვლევას შეუდგა. მაგრამ ძნელად თუ შეიძლებოდა მოხერხებასა და სიმარჯვეს რაიმე ნაყოფი გამოელო ამჟამად. მან ორჯერ გაიფიქრა უთუოდ — დავრჩიებით.

ერთ-ერთმა, გზაში გაცნობილმა მგზავრმა, რა შეატყო, უტვირთოდაც წარმოუდგენებლი იყო გზის გაკვლევა, ვოგონა კი მოზრდილ ჩემოდანს მიათრევდა გაჭირვებით, ნებართვის მიღებამდე გამოსტაცა ჩემოდანი და პირდაპირ ფანჯრიდან მიაწოდა მატარებლის დასახვედრყდ გამოსულ ტვირთის მზიდავ ბიჭს.

ამასობაში ერთი წუთიც მიიწურა, ორთქლმავალმა შეჰქივლა და სწრაფად დაიძრა.

ისეთი დათვური სამსახურისათვის, როგორიც გზაში გაცნობილმა გაუწია ვოგონას, ამ უკანასკნელმა დაცინვით შეავლო თვალი მას დაუმალვე ფანჯარას ეცა. პატარა ბიჭი, რომელსაც მისი ჩემოდანი მიაწოდეს, მთელი ძალ-ღონით მოსდევდა მძიმე ტვირთიანად მატარებელს და შეწუხებული ხმით წრიპინებდა:

— გისია ეს „ვეში“?!...

წელამდე ფანჯრიდან გაღაყუდებულმა ვოგონამ, შენიშნა თუ არა ბიჭი და ჩემოდანიც იცნო, რამდენჯერმე დაუქნია ხელი, თუმცა ამ წუთში თითონაც არ იცოდა, რას ანიშნებდა ხელის ქნევით.

ზურგიდან მქროლავი ქარი მოუსვენრად უწეწავდა ისედაც. აწეწილთბას. ამ წუთში არ შეიძლებოდა ადამიანის თვალი არ მოეხიბლა ამ ვოგონას იქნს; ვოგონა საბოლოოდ ემშვიდობებოდა იმ ჩემოდანს, რო-

ჟელშიაც, გარდა წიგნებისა და სხვა წერილშიანი ნივთებისა, გულისფანც-ქალით მომლოდინე ბავშვისათვის გამზადებული საჩუქრები ელაგა.

გოგონამ ძახილით და დაუსრულებელი ხელისქნევით ბაქანზე დარჩე-ნილთა ყურადღება მიიპყრო, მაგრამ იმდენ ხალხში, რომლის უმრავ-ლესობასაც ახალგაზრდები შეადგენდნენ, არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ ელვისებური მოფიქრებით მდგომარეობა გამოესწორებია და გულდაწ-ჭვეტილ გოგონას მაღლობა და ყურადღება, თუ დიდი ხნით არა, რამ-დენიმე წუთით მაინც დაემსახურებია.

მაგრამ როგორც ბაქანზე დარჩენილი ხალხის, ისე იმედგადაწყვეტი-ლი გოგონასთვის მოულოდნელად იმ ვაუმა, მატარებლის გავლას რომ უცდიდა სხვებთან ერთად, რათა ლიანდაგის შეორე მხარეს გადასული-ყო, გამოსტაცა პატარა ბიჭის ჩემოდანი და თავდაუზოგავად გაედევნა მატარებელს, რომლის კუდიც ის იყო წმაურით გასცდა ბაქანს. მან მო-ასწრო დაწევა და მარჯვედ შეხტომაც კი. ამ სიმარდით ვაუმა თავი ისა-ხელა არა მარტო უცნობ გოგონას წინაშე, არამედ მეზავროთა უმრავლე-სობის თვალშიც, რომელნიც ფანჯრებში გაღმოყუდებულნი ცნობისმო-ჟვარეობით ადევნებდენ თვალს ამ სეირს.

ვაუ ჩემოდნით ხელში სულ ბოლო ვაგონის კიბეზე იდგა და მშეი-დად იყურებოდა გოგონასაკენ, რომელიც ფანჯარას აღარ სცილდებო-და და აღარ იცოდა, როგორ გამოეხატა თავისი სიხარული. მატარებლის პირველივე გაჩერებისთანავე მორიგ ბაქანზე ორივენი ჩამოვიდნენ და ოდნავ საგრძნობი გულისფანცქალით გაეშურნენ ერთმანეთისაკენ.

უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და გამალებით ფიქრობდნენ, როგორ დაეწყოთ — რა სიტყვები იყო შესაფერი ამ ახირებული გაცნობისათვის...

დაახლოებით მოიფიქრა კიდეც ორივემ სათქმელი, მაგრამ აღამს რამ-დენიმე ნაბიჯზე მიუახლოვდნენ ერთმანეთს, განცვიფრებამ, როგორც ასეთ მოულოდნელ შეხვედრას შეეძლო გამოეწვია, სავსებით გადაავიწყა მათ არა თუ სათქმელი, თავიც კი...

პირველის წამოძახილი:

— მერი...

და მეორის:

— ფრიდონ!.. — უფრო თავისდაუნებული იყო, ვიდრე წინასწარ მო-ფიქრებული.

რას იფიქრებდა რომელიმე მათგანი, რომ ასეთი უცნაური შემთხვე-ვა შეახვედრებდა ერთმანეთს — ძელ მეგობრებს, რომელთაც ხუთი უკა-ზასკნელი წლის განმავლობაში ერთმანეთი ერთხელაც არ უნახავთ, მაგ-რამ ერთმანეთის სახელი თავისთვის, გულში არა ერთხელ უხსენებიათ...

როცა გონს მოსულებმა ერთმანეთს ხელი უშვეს, ფრიდონმა მოკრძა-ლებით ურჩია მერის, უკან დასაბრუნებლად მატარებლისათვის მოცდას, ფეხით აჯობებს გამგზავრება სოფლისაკენო.

მერი დაეთანხმა.

პირველად საკმაო მანძილი ისე გაიარეს, რომ ესოდენ სანატრელი სც-ცბრის დაწყება ვერც ერთმა ვერ მოახერხა.

შემდეგ, როგორც იქნა, ფრიდონმა საყვედურით დაიწყო:

— რატომ დაგვივიწყე?..

მერიმ მიუგო:

— განა უნახაობა დავიწყებას ნიშნავს?

— ცხადია, არა, მაგრამ ეს მთავარია...

— თავის მართლება ახლა დაგვიანებულიც არის და ნაკლებ დამაჯერებელიც! — სიტყვასთან ერთად თვალიც გაუსწორა ფრიდონს.

ვაჟმაც თვალებითვე დაუდასტურა, რომ მისი გულის გადაწყვეტილება სრულებით არ შეეფერება მის სიტყვიერ საყვედურს.

— თვეში ერთხელ მშობლებისთვის წერილის მოწერა წესად მქონდა შემოღებული. ყოველ წერილს მათი ხოტბით ვაბოლოვებდი, რომ კოლექტივში შესვლით და სამაგალითო მუშაობით როგორც თითონ ისახელეს თავი, ისე მეც მასახელეს.

თუმცა მშვიდად ლაპარაკობდა მერი, მაგრამ მისი ნათქვამის აუღელვებლად მოსმენა შეუძლებელი იყო მსმენელისათვის.

მის ხმაში, გარდა ქალური სინაზისა, იყო კიდევ რაღაც უსაზღვროდ მიმზიდველი, რაც ასე ხიბლავდა ფრიდონის ყურთასმენას...

— ახლა რას მივაწეროთ ეს წყალობა?

— რომელი?.. — იმავე მიმზიდველი ხმით იკითხა მერიმ.

— შენი ჩამოსვლა...

მერიმ სიამოგნებით გაიღიმა:

— ისე ლაპარაკობ თითქო მართლა ლირს შესანიშნავი მოვლენა იყოს ჩემი ჩამოსვლა!..

— რატომ, სოფელში ყველას გულით სურდა და გულითვე გაუხარდება შენი ნახვა. — ამ შენიშვნას მცირე ხნის შემდეგ ფრიდონმა მორიდებით ერთი სიტყვაც დაუმატა: — გაათავე?

მერი უმაღვე მიუხვდა:

— გავათავე, გავათავე და ბავშვივით მიხარია... თუმცა რაა ბავშვური სიხარული ახლანდელ სიხარულთან შედარებით!?. — მაგრამ ერთი წუთით ოცნებით გაპხედა ლაჟვარდის: — გახსოვს, ტყეში რომ დავბორიალებდით სოკოზე, რა ყიუინა იყო, რა სიხარული, მაგრამ... ახლა მაშინდელზე უფრო მიხარია...

ვაჟიც მიხვდა, რა ლრმა და განუზომელი უნდა ყოფილიყო მერის სიხარული, რომელმაც წარმატებით დაასრულა ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი, პრაქტიკული მუშაობაც წარმატებით ჩატარა რუსეთში და ამ ჩაფეულს ბავშობასავით სანატრელ სოფელსაც ესტუმრა ორი წლით კვლავ რუსეთში გამგზავრების წინ.

— შენ ძალიან გვასახელე: გაზეთებში დაწვრილებით ვკითხულობდი ყველაფერს — საქართველოს წარჩინებული აღამიგანი, კოლმეურნე. პირდაპირ თავპრუდამსვევია!

ვაჟი მორცხვად უდასტურებდა მერის ნათქვამს.

— ორდენიც მიიღე!..

ფრიდონი, აქამდე თავდახრილი, მხრებშიაც ოდნავ მოხრილი, ორდენის ხენებაზე უმაღლ ვაიმართა და ამაყად გაშალა მკერდი: აბრეშუმის სიფრიფანა ხალათზე, რომელსაც მოკრძალებით აფრიდალებდა ნიავი, მარცხნივ ორდენი ჰქონდა მიკრული ფრიდონს. ორდენი მძიმედ ჰყვებოდა მკერდის მოძრაობას, მის გარშემო კი შეუჩერებლივ ფართატებდა ნაზი აბრეშუმი.

— სტალინი? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა მერიმ.

სტალინის ხენებაზე რაღაც უცნაურად შეტოვდა გული.

შთაბეჭდილება, რომელიც დიდი ბელადის ნახვამ და მასთან გასაუბრებამ მოახდინა ფრიდონზე, დღესაც ისეთივე ცხოველმყოფელი ანდა-მატური ძალისა და სიცხარულის მომგვრელი იყო, რომ არ შეიძლებოდა გული და გონება მშვიდად შეხვედროდა ამ აღამიანის სახელის ხენებას.

მცირე ხნის შემდეგ ფრიდონმა უპასუხა ცნობისმოყვარე გოგონას:

— ვნახე სტალინი!..

ვაჟი მხარდამხარ მიჰყვებოდა გოგონას და დაუინებით მისჩერებოდა ღიმილით სავსე თვალებში. ვაჟის თვალები თითქო ამბობდა:

„რა უბრალოთ ითქმის — ვნახეო, მაგრამ ნეტავი იცოდე, რაა იმ აღამიანის წახვა, რომელიც არა თუ ერთი სიტყვით, ერთი გამოხელვითაც კი ამირანის ღონეს შევძენს!“

გზა შეუმჩნევლად მოკლდებოდა საუბარში. რამდენიმე კილომეტრი ისე ვასვლეს, არც დალლა უგრძვნიათ და არც დასვენება მოჰკონებიათ.

— კოლმეურნეობის შესახებ რას იტყვი?

— სულ კარგსა და კარგს... საათივით გვაქვს საქმე დაყენებული.

ვაჟი მიხვდა, რომ ნათქვამი არ კმაროდა და დაუმატა:

თუმცა ბევრჯერ სცადეს მტრებმა მოედუნებიათ ჩვენი სიძლიერე მაგრამ ვერა!.. ერთსულოვან მუშაობას მართლაც ბევრი რამ შესძლებია. ხვალ მოანგარიშეს ჰქითხე და გეტყვის, როგორი მოსავალია, ვის რამდენი ერგება, ვინ რამდენი შრომა-დღე გამოიმუშავა. იქნებ. არც დაიჯერო, მაგრამ რას იზამ, სინამდვილეა!..

უკანასკნელი გორაკი და მთელი სოფელი ეხლახან ძალმოკრებილ მთვარის შუქზე ხელის გულივით გადაიშალა თვალშინ. გორაკზე ორივე უნებურად შეჩერდა. აქედან მართლაც მომხიბლავი სანახაობა იშლება.

გაღმა, ზაფხულის სიცხეებით დაჩაგრული მდინარის მეორე მხარეს, საკმაო მანძილზე გაშლილი მინდორი აქა-იქ ჯერ კიდევ აუღებელი პურის ყანებით იყო მოფენილი.

მთვარის შუქზე ყველაფერი დღესავით იყო განათებული: მინდორი, მდინარე, ხეხილის ბალებში თავშეფარებული ოდები, პატარა ტყე-გორაკები.

ამ მაღლიან წუთებში განსაკუთრებით ხიბლავდა ქალვაჟს ეს სანახაობა, ხიბლავდა ყველაფერი, რასაც კი ირგვლივ მათი ცნობისმოყვარეობით ანთებული თვალი მისწვდებოდა.

მაღლიანი მიწა უხვად შეემკო მშრომელი სალხის ყოვლისშემძლე  
ბარჯვენას.

ცის უსაზღვრო, ლურჯი სივრცე კი თითქო საღლესასწაულოდ იყო  
ასე უხვად მოჭედილი ვარსკვლავებით.

— კარგია! — აღტაცებით წარმოსთქვა ვოგონამ.

— ძალიან კარგია! — დაუმოწმა ვაუმა.

— ბავშობაში ბებიაჩემისაგან გამიგონია, თითქო ყოველი ადამიანის  
ბედიღბალი ერთ რომელიღაც ვარსკვლავზეა დამოკიდებულია...

— ეგ ზღაპარია, გენაცვალე!

— ზღაპარია?! მართლაც. მაგრამ ერთი წუთით ზღაპრულ გმირებად  
რომ წარმოვიდებინოთ თავი და ვიკითხოთ, რომელია ეს შენი ბედის ვარს-  
კლავი, რას ეტყოდი?

— რას ვეტყოდი? ალბათ, გამეცინებოდა...

— გარდა მაგისა...

— ახირებული კითხვაა!..

— მაგაშიაც გეთანხმები, მაგრამ მაინც რას იტყოდი?

მერის მომხიბლავი ხმა დამათრობელი სურნელივით მოქმედებდა  
ვაუზე.

— ამოირჩიე, ფრიდონ, რომელი გვონია შენი ბედის ვარსკვლავი?

ფრიდონს არასოდეს არ უფიქრია ამაზე, არც ერთი წუთით. არა, არ  
უფიქრია, მაგრამ ახლა უნდა იფიქროს და რაღაც ისეთი მოიგონოს, რომ  
თითონაც კმაყოფილი დარჩეს და ამ იშვიათი თანამგზავრის, ხუთი წლის  
უნახავი მეგობრის ახირებული ცნობისმოყვარეობაც დააკმაყოფილოს.

მათ გორაკი ჩაიარეს და ორლობეს მიადგნენ.

მერი მაინც არ ივიწყებდა იმ აკვიატებულ კითხვას: ყოველი შეკით-  
ხვის შემდეგ, რადგან ვაჟისაგან გარკვეულ პასუხს ვერ ღებულობდა,  
ისევ თითონვე განაგრძობდა ტიკტიკს.

— ფრიდონ, იქნებ ისაა, განმარტოებით რომ ციმციმებს, ან მის  
გვერდით რომ არის, სულ მილეული, მილეული, ნეკისოდენა?

მერი წამდაუწუმ იშვერდა ხელს ვარსკვლავებისაკენ, თან ხან აუჩ-  
ქარებდა ნაბიჯს, ხან შეანელებდა, რაღვან ვიწრო ორლობის ორივე მხა-  
რეს გაყოლებული ხეების ერთმანეთში გადახლართული ტოტები საშუა-  
ლებას არ აძლევდნენ თავისუფლად ემზირა ვარსკვლავებისათვის.

რაწამს ტოტებსა და ხშირ ფოთლებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტა-  
ნებიდან ვარსკვლავს მოჰკრავდა თვალს, უმალვე წამოიძახებდა:

„ის ხომ არაა?“

ფრიდონი კი დაუღალავად იმეორებდა: „არც ეგ არის“.

მაგრამ ბოლოს, რა შეატყო სახლამდე სულ ცოტა მანძილილა იყო  
დარჩენილი, თავს ძალა დაატანა, დაუინებით მოისრისა შუბლი და სთქვა:

— ზღაპარს რომ თავი დავანებოთ, ჩემი ბედის ვარსკვლავი მართ-  
ლაც არსებობს...“

— მითხარი!.. — და მერიმ სიხარულით გამოსდო მკლავში ხელი ფრი-  
დონს და თავისკენ მიიზიდა, მიუალერისა.

— მაშ, გითხრა, რომელია?

შერიმ კვლავ ვედრებით გუუმეორა:

— მითხარი!..

და ვაუმაც უთხრა.

ფრიდონი თავის შხრივ უფრო გაბედულად სწვდა მერის შაჯას, მიზიდა.

მერი კი სულ სმენად და მზერად გადაიქცა რაღაც დიდი, განსაცვიფრებელი პასუხის მოლოდინში. ამ უკანასკნელ წუთში ის ცალცალკე მოკიაფე ვარსკვლავებიც უთავბოლოდ აირია ერთმანეთში, ცის უშველეული თაღი უწყვრილესი სხივებით გადაიხლართა.

ვაუმა ქალის ნაზი ხელი, რომელიც მგონი, ოდნავ თრთოდა კიდევ; შირცხნივ მკერდზე მიიკრა და მცირეოდენი დუმილის შემდეგ ხმაში ჭისამჩნევი მღელვარებით წარმოსთქვა:

— აი ჩემი ბედის ვარსკვლავი!..

შერი შეკრითა, თითქო დაიბნა კიდეც, მაგრამ რაჭამს ვაუის მკერდს მორცხვად ხელი მოაცილა და იმ აღგილს დახედა, ვაჟის ჭიუამახვილობით აღტაცებულმა ისე თავისუფლად, ისე ამაყად გაიღიმა — ვაუმა. უმალეს შეატყო, რომ კარგად სთქვა და მეგობარმაც კარგად გაიგო...

ვაუი არ სტყუოდა: მის მკერდზე წითელი ვარსკვლავის ორდენი ფლავდა...

მისი ბრწყინვალე ბედის ვარსკვლავი.

# ქართველი მამაკანის ცოდნა

თარიღი

## გვიღილობით! \*)

შშვიდობით! და თუ ასე ჰსურს ბედსა,  
შშვიდობით მაშინ სამარალეამოდ!  
დე, იყავ მყაცრი — მე მტრობას შენსას  
ვეღარ მივიღებ გულის მალამოდ.

მაგრამ არ მჯერა, შენ შეპხვედროდი  
ჭედმოუღრეკელ ქებას იმ კაცში,  
ვის გულზეც ტკბილი ძილით სტკბებოდი  
რა ბედსა ჰყავდი ჩაწნული მკლავში.

რომ განგეჭვრიტა მაშინ იმ გულის  
გრძნობები წმინდა, ჩემგან ნათბობი,  
აღივსებოდი დღეს სინანულით,  
წრფელი მეგობრის ესრედ დამგმობი.

დე, ქვეყანამ ქებით შეამკოს  
ეგ დარტყმა ჩემდა მყაცრ დამდურებით:  
იგი ისევე შენ შეურაცყობს  
მაგ ჩემთვის ნასყიდ უბედურებით.

დე, გავშავდე სიმტკუნის ბნელით,  
გავასამართლებ თვითონვე ჩემს თავს,  
მაგრამ რად მოვკვდე მე იმა ხელით,  
რომელიც ტრფობით შიალერსებდა?

და გწამდეს! გწამდეს! ტრფობის ცეცხლისა  
ჩაქრობა ძალუძთ მხოლოდ წლებს სუმთლად,  
მაგრამ არ ძალუძს ამბოხურ რისხვას  
გულის მოწყვეტა გულიდან უცბად.

\*) ლექსი მიმართულია მეულლისადმი, რომელიც გაეყარა ბაირონს ლორდების  
შეირ მოგონილ ცილისწამებათა გამო.

აშიტომ გრძნობას ინახავ ცეცხლად,  
ეს კი წილად მხვდა ტრუობისა თმენა  
და მქენჯნის აზრი უწყალო დღე-ლამ,  
რომ ერთად აღარ ვიქნებით ჩვენა.

გვედრების თავს მოთქმა, ცრემლთა ხშირობა,  
მი აზრს საზარელს ვით შევაღარო,  
რომ ცოცხლები ვართ, მაგრამ ქვრივობა  
ურთ-ერთის გვერდით უნდა ვატაროთ?

და, როს ჩვენს ასულს, ნორჩ სილამაზე,  
ჟეპხარი, მისი ტიკტიკით მტკბარი, —  
სიტყვას გადუკრავ ალბათ მამაზე,  
ჟამა კი, მამა მასთან არ არი.

ხოლო, როს ბავშვი მზერით შეგიპყრობს,  
მომიგონებდე მის კოცნის წუთსა,  
მომიგონებდე, ვინც შენთვის ფიქრობს,  
ფინც შენში სჭვრეტდა სამოთხის შუქსა..

და, თუ განდევნილ მამის მსგავსება  
იელვებს ბავშვში, ხსოვნის გამცემი,  
მწამს, გული ერთ წუთს აგითრთოლდება  
და თრთოლვა იგი იქნება ჩემი.

ჩემს დანაშაულს იქნებ იცნობდე,  
მაგრამ სიგიურს ჩემსას ვინა სცნობს?!  
ჩემს იმედებს კი, შენი შემცოდე  
ბედი მიათრევს, ჰუცურცლავს და აჭკნობს..

შენ შემირყი ამაყი სული.  
ქვეყნის მოძულე შენ ერთსა გყმობდი  
და შენგან შენით განშორებული  
იმა შერყეულ სულსაც განვშორდი.

აღსრულდა უკვე — სიტყვებით კბენა,  
ვიცი, ფუჭი და ამაო არი,  
მაგრამ გულისთქმა გვიმონებს ჩვენა,  
გულისთქმას ჩვენსას არ უდევს ზღვარი.

მაშლა მშვიდობით! მივდივარ შენგან,  
ვისშიც ვგონებდი ცხოვრებას მიწვდილს,  
მიკდივარ, მაგრამ დევნილი ყველგან,  
ველირსებილა როდისმე სიკვდილს?!

თარგმ. ი. მჭედლიშვილისა-

თამრობი

დღეს შემისრულდა ზოდათმჯვმეტი

ზოღი

დრო, გულისათვის ბინდის მფარავი,  
მოდის, მომავლის ბინდში ფარული,  
არ შემიყვარებს თუმც მე არავინ —  
მსურს სიყვარული!

ჩემი დღეები ყვითელ ფოთლებად  
ჩამოცენილნი სწრაფად გარბოდნენ.  
ჭრილობა, მატლი და შეშფოთება  
შემჩნენ მარტოდენ!

შედება ცეცხლი ვულკანის ძალით  
და, ვით ცეცხლმფრქვევი კუნძული ქუში,  
სამგლოვიარო იმისი ალი  
ჩამიდგა გულში!

შიში და ტრფობა, ზრუნვა, იმედი  
ტანჯვის მაღალი ხვედრის სირთულით  
არსად შემომწვდნენ, თუმც სიმძიმეთ  
მყვეს დატვირთული.

მაგრამ ამგვარი ფიქრების მზრახველს,  
აქ ყოფნა ჩემს სულს კვლავ ავაუკაცებს,  
საღ დაფნა ამკობს გმირების სახეს  
და მკვდრის საკაცა.

ჟაზვილი, დროშა და ბრძოლის ველი,  
გარს საბერძნეთის ღიღების რხევა!  
ვით დაყრდნობილი ფარს სპარტანელი  
ამაყად ვდგევარ!

აღსდეგ! (აღმსდგარა უკვე ელლადა!)  
სულის ნაკადო, შეიგნე; მარად  
შენი მშობელი ტბა სად ღელავდა  
და — ომში ჩარა!

ახლა დრო არის მშვენიერების  
მზერას აჩვენო თავდანებება  
და მიგატოვონ ყველა ფერების  
შენმა ვნებებმა.

თუ გენანება შენ სიჭაბუკე, —  
პატიოსანი სიკვდილის მხარე  
მოგელოდება: ომში დაბუგე  
სიცოცხლე მწარე!

ნახე ადგილი — პოენა ადვილი  
არ არის მისი და არც ჩვენება,  
მიმოიხედე, ნახე ადგილი  
და განსვენება!

სთარგმნა ინგლისურით გივი გაჩეჩილაძეშ.

# ქ რ ი ტ ი ქ ქ

ე. ასტგაცატუროვი

6. ა. ნეკრასოვი და ჩევოლუციური პხალგაზრდობა.

Иди к узрежденным,  
Иди к обижденным —

По их стопам  
Где трудно дышится,  
Где горе слышится —

Будь первым там!

6. ა. ნეკრასოვი.

მეცხრამეტე საუკუნეს განსაკუთრებული აღგილი უჭირავს რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში. ამ საუკუნეში ტიპიურად „დასრულებული“ ფორმები მიიღო განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელმაც სამი მთავარი ეტაპი გაიარა. განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ ეტაპებზე, როგორც ლენინი აღნიშნავს, გავლენას ახდენდნენ და აძლევდნენ მას „მკვეთრად“ ჩამოყალიბებულ სახეს საზოგადოებრივი კლასები. ლენინის განსაზღვრით, ეს ეტაპებია: თავადაზნაურული პერიოდი — 1825 წლიდან 1861 წლამდე; „რაზნობინცელი“ ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პერიოდი — 1861 წლიდან 1895 წლამდე და პროლეტარული პერიოდი — 1895 წლიდან.

ამ ისტორიულ პერიოდებში რუსეთის ხალხმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეობის მოწინავე ავანპოსტზე გამოიყვანა მრავალი გამოჩენილი პიროვნება, რომლებმაც ზურგი შეაქვიდეს გაბატონებულ ბოროტებას და აირჩიეს სიძნელეთა და უდიდეს წინააღმდეგობათა გზით სკოლა. ამ აღამიანების პროგრესიულ აზრებსა და გრძნობებში ბუნებრივად პოულობდა გამოხატულებას ხალხის მისწრაფება, ტკივილი და მწუხარება. ზოგიერთ მათგანის შემოქმედებაში კი ყოველივე ეს ვულგანური სიძლიერით სჩქეფდა: მათში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკვეთრად გამოჩენიული, რომელიც თავისი საბრძოლო პოეზიით დიდ გავლენას ახდენდა თავისი დროის მოწინავე ხალხზე, იყო პოეტი, მოქალაქე, გლეხური დემოკრატი ნიკოლოზ ალექსის-ძე ნეკრასოვი<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> 6. ა. ნეკრასოვი დაიბადა 1821 წელს და დეკამბერს. პოეტის მამა იყო მეფის ოფიცერი, მემამულე, საშინელი დესპოტი, როგორც გლეხების მიმართ, ისე მჯაბაზი.

ნ. ნეკრასოვი, რომელმაც მთელი თავისი პოეტური შემოქმედება ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას მოანდომა, გადაიქცა მთელი რევოლუციური თაობისა და მოსწავლე უხალგაზრდობის უსაყვარლეს პოეტად.

ნ. ნეკრასოვმა თავის პოეზიაში რელიეფური სიცხადით გადაშალა მშრომელი გლეხობის უუფლებო, არა აღამიანური პირობები და. საშინელი ეკონომიური მდგომარეობა. მან მკვეთრად და მხატვრულად, კონტრასტულ ფერებში, ასახა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო. გლეხობის საშინელი მდგომარეობის გვერდით პოეტმა გვიჩვენა გაბატონებული, მაღალი წოდების გადაგვარებული ცხოვრება, მისი მორალური გახრწინილება. თავისი გესლიანი სატირით მან მწარედ დასცინა ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნის გზაზე დამდგარ წოდებას და თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდა ხალხს. მან „სამშობლო მხარის მოქალაქის“ წმინდა მოვალეობად ხალხისადმი უანგარო სამსახური და თავისუფლებისათვის აქტიური მოქმედება აღიარა. მოქალაქის ხაზით ნეკრასოვმა გააფრთხილა მთელი პროგრესული თაობა; არ აჰყოლოდა ლიბერალების თვალთმაქცურ ბოდვას „თავის გაფრთხილებისა და დროს თავისთვის შეცვლის“ შესახებ. იგი ჰემობს მშეიდად, გულქელდაკრეჭილ ყოთნას, მაშინ, როცა სამშობლოს ცარიზმისა და ბატონყმობის შემიმე მარწუხები უხუთავენ სულს როცა ცხოვრების შემქმნელ მშროველ ხალხს მაჯლაჯუნასავით დასწოლია ბატონყმური უფლება:

„გით დედის ტანჯგას და მწუხარებას  
შევიდა უცქიროს, ვერ შესძლებს შვილი,  
ფერც მოქალაქე შესძლებს ვარგისი  
სამშობლოსადმი იყვეს გულგრძლი.  
კვლავ უმწარესი სად არის დარდი  
სამშობლოსათვის ცეცხლში ჩავარდი,  
შოვკვდი რწმენისა და ტრფობისათვის...  
შოვკვდი ამაყალ, დაუძრახველი.  
ეს თავგანწირება არ არის ფუჭი,  
სისხლი ტყუილად არ იღვრის ცხელი“. <sup>1)</sup>

დღიურა პოლონელი იყო, თავისი დროისთვის განათლებული და პუშანიური ადამიანი. 1832 წელს 11 წლის ნიკოლოზი მშობლებმა იაროსლავის გიმნაზიაში შეიყვანეს, მაგრამ გიმნაზიის კურსი მან ვერ დაასრულა, გამორიცხეს მეხუთე კურსიდან, როგორმა შეუფერებელი მოწაფე ბიუროკრატიული სკოლისათვის. სკოლაშიც და სკოლის შემდეგაც ნიკოლოზი მეტ დროს ანდომებდა წიგნების დამოუკიდებლად კითხვას, სწერდა სხვადასხვა ხასიათის ლექსიებს. გიმნაზიიდან დათხოვნის შემდეგ მამას უნდოდა შვილი სამხედრო მოხელედ აეზარდა. ამ მიზნით მან შვილი პეტერბურგს გაგზავნა, ზაგრამ რადგან შვილის მისწრაფება სულ სხვა იყო, ის, წინააღმდეგ მამის სურვილისა, შედის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად. ნეკრასოვს თავიდანვე იზიდავდა. პოეტური შემოქმედება და საკმაო ნიჭაც ამეღავნებდა იგი ამ მხრივ ბავშვობიდანვე. შეიღის საქციელით გულმოსულმა მამამ ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა. უცხო ფრთი დიდ ჭალაში გამოუდელი ახალგაზრდა ნიკოლოზი დარჩა ქუჩაში მიტოვცებული, უძინაოდ, ნახევრად მშიერ-მწყურვალი და ნახევრად ტიტველი. საშინელი იყო ნეკ-

1) დარგშიანი შეცელება შესრულებულია გრ. ცეცხლაძის მიერ.

6. ნეკრასოვი პირველი რუსი პოეტი იყო, რომელმაც თავისი შემოქმედების თემატიკურ არედ აიღო ხალხის ცხოვრება, ხოლო გმირებად და პერასონაჟებად — ხალხის წიაღიძან წარმოშობილი ადამიანები. მეცხრამეტე საუკუნის არც ერთ რუს მწერალს არ მოუკია მშრომელი ხალხის მდგომარეობისა და ყოფის ისეთი რეალისტური, ზედმიწევნით სწორი და ოპტიმიზმით გაულენთილი მხატვრული სურათები, როგორიც მოგვცა ნ: ნეკრასოვმა. ოპტიმიზმი ნეკრასოვის პოეზიის ის ძალა იყო, რომელიც ყველაზე რთულ მდგომარეობაშიც კი შესაძლებლობას იძლევა შევინარჩუნოთ გამოსავლის ჩატვენა; საკუთარ ძალაში დაჯერება. ამასთან იპტიმიზმი საშუალებას აძლევს პოეტს აქტიურ დამოკიდებულებაში იყოს ფაქტებთან, მოვლენებთან და სინამდვილე მძაფრი სოციალური ტენდენციებით ასახოს. პოეტი სრულიადაც არ ეძლევა პესიმიზმს, როცა მიმართავს ვოლგას:

„ო, ვოლგავ, ვოლგავ! მრავალწლიან გაზაფხულისა.  
ისე არ ავსებ ნაღვარით შენ ველს და ყანას,  
როგორც უდიდეს მწუხარებით ხალხის გულისა  
ავსებულია წამებული ჩვენი ქვეყნა.  
სადაც ხალხია, იქ კვეთა... ეს, ჩემო სულო!“

ან. როცა მთელი გლეხობის სახელით ამბობს:

„ჩვენი მშობლიურ ოჯახის ჭერქვეშ  
არ დაგვცემია არც ერთი ცალი  
ადამიანურ, წმინდა ცხოვრების  
ნაყოფიერი, სალი მარცვალი“.

„მალე ასეთ გაჭირვებას თავს დააღწევთ, ილხენთ შვებით“, — ეუბნება პოეტი გლეხებს. ამ რწმენას იგი ძლიერ შტრიხებში იძლევა და ხედავს, რომ „ერთობლივი გასჭრის ძალა“ და „ბედის გრგვინვა მხარეს სრულად შეაბრუნებს ყირამალა“.

რასოვის ცხოვრება პეტერბურგში, მაგრამ დიდი სულიერი სიმტკიცით გადაიტანა შან ყოველი სიძნელე. ნეკრასოვი უახლოვდება უურნალ-გაზეთების რედაქციებს, თფატრებს და მათი დაკვეთით სწერს ვოდევილებს, ლექსებს, მოთხრობებს, წერილებს, და სხვას. ძალიან ხშირად მძიმე მატერიალური მდგომარეობით იძულებული სწერდა ისეთ რამეს, რაც სრულიად არ ეკარებოდა მის პოეტურ სულს. 1840 წელს გამოსცელების პირველი წიგნი: „Мечты и звуки“. ამ წიგნით პოეტმა მარცხი განიცადა. მალე პოეტი უახლოვდება ჯერ ბელინსკის, შემდეგ ჩერნიშევსკის და ლობროლუბოვს. ამ რევოლუციონერებთან დაახლოვებით ნეკრასოვმა შეიმუშავა სწორი შეხედულება პოეზიის საზოგადოებრივ ფუნქციაზე და შეითვას გლეხური დემოკრატიულ რევოლუციური იდეები. გახდა დემოკრატი პოეტი. 1846 წლიდან 1866 წლამდე ნეკრასოვი ხელმძღვანელობს უურნალ „სოვერემენიკს“. 1868 წელს ყიდულობს უურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ და ხელმძღვანელობს მას სალტიკოვ-შედრონთან ერთად: „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ და ხელმძღვანელობს მას სალტიკოვ-შედრონთან ერთად: მ უურნალის გარშემო თაგა იყრიდა. უმთავრესად რევოლუციური ახალგაზრდობა. ნეკრასოვის კალამს ეკუთვნის უამრავი ლექსი და პოემა, ვოდევილი, ზღაპარი, მოთხრობა, წერილი, რეცენზია, სატირული და იუმორისტული ნაწარმოები.

6. ა. ნეკრასოვი გარდაიცვალა 1878 წელს 8. იანვარს (ახალი სტილით) კიბოს ხანგრძლივი ფაღმყოფობით.

ნ. ნეკრასოვის პოეზიის განსაკუთრებულ თავისებურებას, რითაც გამოირჩეოდა ის თავის ეპოქაში, წარმოადგენს პირდაპირი და უშიშარი მრსვლა ეპოქის მოთხოვნილებებთან, თანამედროვეობის აქტუალური თემატიკის ასახვა, სოციალური სიმძაფრე, ღრმა იდეურობა, აზრის სიცხადე, საბრძოლო პათოსი, გამარჯვების რწმენა, ნათელი და გასაგები ფორმა, რიტმი და ინტონაცია, რომლებიც თავიანთი ბუნებით ძალიან უახლოვდებიან ხალხური პოეზიის ფორმას, რიტმსა და ინტონაციას. ამ თვისებებით ნ. ნეკრასოვის პოეზიამ სწრაფად მიიპყრო რევოლუციურ თაობისა და პროგრესიულად მოაზროვნე ახალგაზრდობის ყურადღება და დაიმსახურა მათი უსაზღვრო სიყვარული.

ნ. ნეკრასოვი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, რევოლუციონერთა და მოსწავლე ახალგაზრდობის დიდების საგანი იყო. ნეკრასოვის ლექსები მათ ზეპირად იცოდნენ და მღეროდნენ, როგორც ლექსად დაწერილ სააგიტაციო პროკლამაციებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 60—70-იან წლებში მოსწავლე ახალგაზრდობა რევოლუციურ „ზიარებას“ ნ. ნეკრასოვის ლექსებით ღებულობდა, ისევე, როგორც გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის და სხვა რევოლუციონერთა ნაწერებით. ძველ რევოლუციონერთა მემუარებში ძალიან ხშირად ვხვდებით იმის მოგონებას, თუ როგორ რევოლუციურ ზეგავლენას ახდენდა მათზე და მსჭვალავდა მათ საბრძოლო ცეცხლით ნ. ნეკრასოვის პოეზია.

„ბევრი ჩვენგანისათვის, სამოცდაათიანელებისათვის, — ამბობს ცნობილი რევოლუციონერი დეიჩი, — ნეკრასოვი სწრაფად გადაიქცა უსაყვარლეს პოეტად, რომელსაც შემდეგ ჩვენ აღარ ვშორდებოდით არც შინ, არც საპყრობილები, არც გადასახლებაში და არც კატორლაში“. ამიტომ ბევრი ჩვენგანისათვის, სამოცდაათიანელებისათვის, — ამბობს ცნობილი რევოლუციონერი დეიჩი, — ნეკრასოვი სწრაფად გადაიქცა უსაყვარლეს პოეტად, რომელსაც შემდეგ ჩვენ აღარ ვშორდებოდით არც შინ, არც საპყრობილები, არც გადასახლებაში და არც კატორლაში“.

ძველი ბოლშევიკი და 70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის მონაწილე მ. ოლენსკი გადმოგვცემს, რომ პოემამ „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“, კერძოდ, მისი მეორე ნაწილის ერთმა თავმა — „ღრეობა მთელს ქვეყანაზე“ — დიდი კვალი დააჩინა ჩემი ცხოვრების ხასიათსა და მიმართულებას.

ნ. ნეკრასოვი, ძლიერი პოეტური ექსპრესიით, დრამატიზმითა და რევოლუციური ოპტიმიზმით ხატავდა რა ხალხის შავბნელ ბედს, სევდასა და მწუხარებას, ეპოქის მოწინავე ადამიანის მოქალაქობრივ ვალს, აღაფრთოვანებდა და საკუთარ ძალაში დაჯერების უდიდესი რწმენით აღჭურვიდა ახალგაზრდობას. ნ. ნეკრასოვის ლექსები, ავტორის სახელთან ერთად, განუყრელი თანამგზავრი იყო ყოველ მომენტში მეცრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესიული თაობებისა, რა მიმართულების მიმდევარნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი.

ნ. ნეკრასოვის ლექსები მკითხველს ჯადოსნური თილისმით ხიბლავდნენ და აღვიძებდნენ მასში მიძინებულ ჯანსაღ გრძნობებს. ი. მანსვეტაშვილი თავის მემუარებში ნეკრასოვისა და მისი ლექსების გავლენის შესახებ მოსწავლე ახალგაზრდობაზე შემდეგს გადმოგვცემს:

„ეხლანდელი თაობა ვერ წარმოიდგენს, რა იყო იმ ღროს ნეკრასოვა-  
ჩვენთვის. მთელი მოზარდი ახალგაზრდობა, მთელი ინტელიგენცია მის-  
ლექსებით იყო გატაცებული. მასშოვს, თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლისა  
ვიქნებოდი, რომ მანგლისში აგარაკად ყოფნის ღროს, ხელში ჩამივარდა  
უურნალი „Отечественные записки“, სადაც დაბეჭდილი იყო პირველი-  
ნაწილი პოემისა: „Кому на руси жить хорошо?“ მთელი კვირა ხე-  
ლიდან არ დამიგდია უურნალი, პოემა რამდენჯერმე გადავიკითხე და  
ისეთს სიამოვნებას მაგრძნობინებდა, რომ მესხიერებაში ლრმად ჩამე-  
ბეჭდა და მთელი ნაწყვეტები ზეპირად შემეძლო მეოქვა.

სტუდენტობას ხომ პუშკინიც დავიწყებული ჰყავდა და სულ ნეკრა-  
სოვი ადგა პირზე. ასე წარმოიდგინეთ, სტუდენტების ჩვეულებრივ სა-  
ლამოზე... ტრადიციულ „მოდი ვიმხიარულოთ“ მავიერ გაისმოდა ნეკ-  
რასოვის ლექსების დაუბოლავებელი სიმღერა“.

6. ნეკრასოვს მაშინ ჩაგრულთა და დევნილთა პოეტს უწოდებდნენ. თავისი იდეებით ის იყო რევოლუციონერი დემოკრატი, რომელიც თავის პოეზიაში არასოდეს არ მიმართავდა ნიღაბს და ყოველთვის აშკარად და გაბედულად ილაშქრებდა არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის, ცარიზმის პოლიციური რეჟიმისა და ბატონყმური ბოროტების წინააღმდეგ. ამიტომ აღვილად გასაგებია, რომ იმისათვის, ვისაც კი ოდნავ მაინც უცემდა გული ჩაგრულთათვის, პოეტი უსაზღვროდ საყვარელი იყო. 6. ნეკრასოვის ლექსი უაღრესად აქტუალური და პოლიტიკურად მახვილი იყო, ზედმიწევნით ეხმაურებოდა ახალგაზრდობისა და საზოგადოებრივ ასპარეზზე მომქმედი პროგრესიული თაობის რევოლუციური სულის მოთხოვნილებას. 6 ნეკრასოვის თანამედროვე ახალგაზრდობის ხელში პოეტის ლექსი ნამდვილი საბრძოლო იარალი იყო. ამიტომ ბუნებრივი იყო ის გადაჭარბებული შეფასება, რომელსაც აძლევდა ეს ახალგაზრდობა. 6. ნეკრასოვის პოეტურ ნიჭის და მას პუშკინზე და ლერმონტოვზე მაღლა აყენებდა. ეს გადაჭარბებული შეფასება პუშკინთან შედარებით, რაც ეხლა არას წორად მიგვაჩნია, გამოწვეული იყო არა იმდენად ნეკრასოვის პოეზიის ფორმის მამხიბვლელობით, რამდენადაც შინაარსითა და სოციალური ტენდენციის სულიერი სიახლოებით ახალგაზრდობის საბრძოლო მიზნების გადატენილების გამო.

შელი გლეხობის არააღამიანური მდგომარეობა ბატონიშვილ რუსეთში. ეს იყო პოეტურ ენაზე დაწერილი სააგიტაციო პროკლაბაცია, რომელიც მიმართული იყო არსებული სინამდვილის წინააღმდეგ და რომელიც მოუწოდებდა მკითხველს აქტიური ბრძოლისაკენ. რუსეთის მეცხრამეტე საუკუნის პოეზიაში არ მოიპოება მეორე ლექსი, რომელიც ასე ძლიერად, მგრძნობიარედ და ნათლად გადმოგვცემდეს იმდროინდელი რუსეთის ნამდვილ ვითარებას. ეს ლექსი იმდენად ძლიერი იყო თავისი რევოლუციური ხასიათით, შთამაგონებელი ძალით, რომ მისი დაბეჭდვა მაშინ რუსულ ლეგალურ უურნალ-გაზეთებში შეუძლებელი გახდა. ლექსი პირველად საზღვარგარედ დაიბეჭდა, გრუცენის „კოლოკოლში“, და მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი გადმობეჭდვა. ამ ხნის განმავლობაში ლექსი არალეგალურად ვრცელდებოდა ხალხში ზეპირგადაცემის გზით. ამ ლექსის დასასრულს მღეროდნენ ყველგან და ყველა, როგორც „მარსელიოზას“.

იმ დიდ გავლენას, რომელსაც პოეტი ახალგაზრდობაზე ახდენდა, საუკეთესოდ მოწმობს სტუდენტების ერთ-ერთი წერილი, რომელიც გაუგზავნეს მათ მომაკვდავ პოეტს. ნეკრასოვი ძალიან ავად გახდა. ორი წლის განმავლობაში ლოგინში იწვა, კიბოსაგან დაავადებული, და ფიზიკურად დნებოდა. პოეტი თვითონვე გრძნობდა, რომ ვერ მორჩებოდა. ეგი მძიმედ ავადმყოფი სწერდა:

Нет! не поможет мне аптека,  
Ни мудрость опытных врачей:  
Зачем же мучить человека?  
О, небо! Смерть пошли скорей!"

პოეტი შეურიგდა თავის გარდუვალ ბედს, მას აღარა ჰქონდა არც სურვილი და არც ძალა მოთმინებისა. ლექსში „მეგობრებო“ ის სწერს:

„Я примирялся с судьбой неизбежною,  
Нет ни охоты, ни силы терпеть  
Невыносимую муку кромешню!  
Жадно желаю скорей умереть“

სტუდენტებისა და რევოლუციური ახალგაზრდობის დელევაციები ყოველდღე ნახულობდნენ ავადმყოფ პოეტს, ამნევებდნენ, უსურვებდნენ მალე კარგად გამხდარიყო. „ნეკრასოვი დიდად ნასიამოვნები რჩებოდა ასეთი ყურადღებით“, მაგრამ პოეტის მორჩენის იმედი უკვე დაკარგული იყო. თვით პოეტიც, როგორც ზევით დავინახეთ, შეურიგდა თავის მწარე ხვედრს, მაგრამ მას განსაკუთრებით ის აწუხებდა, რომ თავისი გაგებით, ვერ მოიხადა ვალი ხალხის წინაშე.

„Кто, служа великим целям века,  
Жизнь свою всемело отдает  
На борьбу за брата человека,  
Только тот себя переживет“.

სწერდა ნ. ნეკრასოვი უკანასკნელ წლებში და თავს უფლებას აძლევდა მწუხარებით აღენიშნა, თითქოს მას არა პქონდა მოხდილი რევოლუციური მოვალეობა თავისი ეპოქის წინაშე, რადგან:

„Мне борьба мешала быть поэтом,  
Песни мне мешали быть бойцом“.

და ამიტომ სიკვდილის წინ დაწერილ თავის ერთ-ერთ ლექსში ამ-ბობდა:

„Скоро стану добычею тленья,  
Тяжело умереть, хорошо умереть;  
Ни чьево не прошу сожаленья,  
Да и некому будет жалеть“.

ამ ლექსმა ძალიან იმოქმედა სტუდენტებზე. უცნაურად მოეჩვენათ ნეკრასოვის ეს სიტყვები მათთვის სათაყვანებელ პოეტზე, რომელმაც ყველაზე ლირსეულად შეასრულა მებრძოლი დემოკრატი მწერლის დი-ლი მოვალეობა თავისი მგზნებარე ლექსებით. სტუდენტებმა მაშინვე მის-წერეს მომაკვდავ პოეტს პასუხი ამ ლექსზე. ამ პასუხში ისინი გამოხა-ტავდნენ მთელი რევოლუციური ახალგაზრდობის აზრსა და გრძნობას:

„ჩვენ შევიბრალებთ შენ, ჩვენო საყვარელო, ხალხის ძვირფასო მომ-ლერალო, მისი ტანჯვეისა და მწუხარების მომლერალო, — სწერდნენ სტუ-დენტები თავიანთ წერილში. — ჩვენ შევიბრალებთ იმას, ვიზც გააღვი-ვა ჩვენში ძლევამოსალი სიყვარული ხალხისადმი, აანთო შეურიგებლო-ბის ცეცხლი ხალხი, მჩაგვრელებისადმი“.

არც ერთ რუს მწერალს, მაქსიმ გორკის გამოკლებით, თავის სიცოცხ-ლეში არ ლირსებია ხალხის ისეთი სიყვარული და დაფასება, ისეთი თა-ნაგრძნობა, როგორიც ხვდა წილად სახალხო გლეხურ დემოკრატ პოეტს. ეს თანაგრძნობა მან დაიმსახურა გულწრფელი მისვლით ხალხის განც-დებთან, მისწრაფებებთან. იგი დაიმსახურა იმით, რომ მისმა პოეზიამ ახალგაზრდობაში გააღვივა ძლევამოსილი სიყვარული ხალხისადმი, აან-თო შეურიგებლობის ცეცხლი ხალხის მჩაგვრელებისადმი.

ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის ნამდვილ დემონს, ტრაციალ გადაიქცა პოეტის დასაფლავება. პოლიტიკური პოეტის და-საფლავება ერთსა და იმავე დროს იყო პოეტისადმი რევოლუციური ახალგაზრდობის პატივისცემის დემონსტრაციაც და პოლიტიკური დე-მონსტრაციაც.

დასაფლავებაზე სიტყვებით გამოვიდნენ გამოჩენილი რუსი მწერალი თ. მ. დოსტოევსკი, სოციალისტების სახელით გ. პლეხო-ნოვი და სხვები.

ამ დასაფლავებას, საშინელი ყინვის მიუხედავად, უამრავი ხალხი და-ესწრო, აქედან დიდი უმრავლესობა რევოლუციური ახალგაზრდობა იყო.

იმდენად დიდი და ფანატიკური წარმოდგენისა იყო რევოლუციური ახალგაზრდობა ნ. ნეკრასოვზე, რომ, როცა თ. დოსტოევსკიმ დაიწყო სიტყვის წარმოთქმა ნეკრასოვის ნეშტის წინ და სთქვა, რომ ნეკრასოვი, როგორც პოეტი, თავისი ნიჭით პუშკინზე დაბლა არ იდგაო, ზღვა ხალ-ხიდან წამოვიდა შეძანილი: უფრო მაღლა, უფრო მაღლა! „Выше! Выше!“

ეს გარემოება ნაწილობრივ იმითაც უნდა აიხსნას, რომ დოსტოევსკის არ მოსწონდა ნეკრასოვის რევოლუციურ-რადიკალური მიმართულება პოეზიაში, მაგრა ლექსების სოციალური ტენდენციურობა, რომ მას, დოსტოევსკის, უკმაყოფილობა ჰქონდა ჯერ კიდევ აღრე ბელინსკის წრესთან, რომელ შიაც ნეკრასოვიც შედიოდა. იგი აშკარად ამჟღავნებდა თავს ლიბერალურ შეხედულებებს. ყველაფერი ეს კარგად იცოდა ახალგაზრდობამ და ამიტომ იგი არც თუ ისე სიმპატიურად იყო განწყობილი დოსტოევსკისადმი. მაგრამ მთავარი ამ „მღელვარებაში“ მაინც ის იყო, რომ რევოლუციური ახალგაზრდობა, სოციალისტები, ბუნტარები და კარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი ელემენტები უსაზღვროდ აფასებდნენ ნ. ნეკრასოვის პოეზიის რევოლუციურ ხასიათს და უზომოდ უყვარდათ ის.

ასეთი უსაზღვრო სიყვარულის ყველაზე ძლიერ ნიმუშს წარმოადგენს რევოლუციური ხალხოსნური მოძრაობის იდეოლოგისა და მე-19 საუკუნის მესამე მეოთხედის რუსეთის პროგრესიული აზროვნების მეთაურის ნ. ჩერნიშევსკის წერილი, გამოგზავნილი შორეულ ციმბირიდან პიპინისადმი ნეკრასოვის სიკვდილის წინ:

„გადაეცი მას (ე. ი. ნეკრასოვს. ე. ა.), — სწერდა ჩერნიშევსკი პიპინს, — რომ მე მხურვალედ მიყვარს იგი, როგორც ადამიანი, რომ ჟემადლობელი ვარ მისი ჩემდამი კეთილი დამოკიდებულებისათვის, რომ მე ვკოცნი მას, რომ მე დარწმუნებული ვარ: მისი სიტყვები იქნება უკადავი, რომ მარადიულია სიყვარული მისაღმი, უგენიალესისა და უკეთილშობილესისადმი ყველა რუს პოეტთა შორის. მე გულამოსკვნით ვსტირი მასზე. ის ნამდვილად იყო ძალიან მაღალი კეთილშობილური სულისა და ძალიან მაღალი ჭკუის ადამიანი. და, როგორც პოეტი, რასაკვირველია მაღლა დგას ყველა რუს პოეტზე.“

ნ. ჩერნიშევსკის მიერ მოცემული პოეტის ეს მაღალი შეფასება ფართოდ იყო გავრცელებული მაშინდელ მოწინავე ინტელიგენციასა და ახალგაზრდობაში, ამის საუკეთესო დადასტურება დავინახეთ ნ. ნეკრასოვის დასაფლავებაზე.

შეცდომა იქნებოდა აქედან ისეთი დასკვნა გამოგვეტანა, თითქოს ნეკრასოვის პოეზიის ზღვა სიყვარული დაგუბებული იყო მხოლოდ მის თანამედროვეებში. ნ. ნეკრასოვი უფრო მეტად შეიყვარა რევოლუციურმა ახალგაზრდობამ მისი სიკვდილის შემდეგ. დიდად უყვარდა და აფასებდა ნეკრასოვს მსოფლიო პროლეტარიატის გენიალური ზელადი და მასწავლებელი ვლადიმერ ილიასძე ლენინის ვლადიმერ ილიასძე ლენინის

უყვარდა ნეკრისოვის ლექსები თავისი პოლიტიკური სიმახურილითა  
და რევოლუციური ბუნებით. ლენინი ნეკრისოვის ლექსებს კითხულობ-  
და და ზეპირად სწავლობდა როგორც მოწაფეობის ღროს, ისე ციმბირ-  
ში, გადასახლებაში. მისი ლექსების წიგნები თან მიჰკონდა ლენინს საზ-  
ღვარგარეთაც ემიგრაციაში ყოფნისას. ნეკრისოვს დიდად აფასებს აგრე-  
თვე თანამედროვეობა, სტალინის ეპოქა. ის საყვარელი პოე-  
ტია ახალგაზრდობისათვის დღესაც, მისი ლექსები საუკეთესოდ გვაც-  
ნობენ შავბნელ ფეოდალურ-ბატონყმურ წარსულს, მშრომელთა აუტა-  
ნელ უუფლებო და ეკონომიურ მდგომარეობას, მხატვრულად ძლიერი  
ექსპრესიითა და იმედის რწმენით დახატული შემაძრწუნებელი სურა-  
თებით.

მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ აქვე ის ზოგიერთი „ჩრდილი“, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნ. ნეკრასოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, და რასაც ლენინი აღნიშნავდა როგორც მერყეობას დჭმოკრატებსა (ჩერნიშევსკი) და ლიბერალებს შორის. მაგრამ ნეკრასოვის რევოლუციური ღირსება ის არის, რომ ამ მერყეობის დროსაც მისი სიმპატიები, როგორც ლენინი ამბობს, ჩერნიშევსკისაკენ იხრებოდა. როცა ამ „ჩრდილებს“ ვეხებით, არ შეიძლება არ გავიჩსენოთ განსაკუთრებით ერთი შემთხვევა, რომლის გამოც, თვით პოეტის თქმით, ის დროებით განმარტოვებული დარჩა და რომელსაც მწარედ ინანიებდა და „სამშობლოს“ პატიებას სთხოვდა. ეს იყო სამოცუჯნ წლებში. ჩერნიშევიამ გააძლიერა რეპრესიები. დობროლუბოვი გარდაიცვალა, ჩერნიშევსკი დააპატიმრეს და ციმბირში გადასახლეს, ნეკრასოვი მარტო დარჩა, მის უურნალს „სოვერემენიკს“ მთავრობამ დახურვა დაუპირა. უურნალის გადასარჩენად ნ. ნეკრასოვმა მეტად მოუფიქრებელი და აჩქარებული ნაბიჯი გადასდგა. მან ქების ლექსი მიუძღვნა მეფის მოხელეს მ. მურავიოვს, რომელზედაც დამოკიდებული იყო უურნალის ბედი. მთავრობამ უურნალი მაინც დახურა. რევოლუციურმა ახალგაზრდობამ ნ. ნეკრასოვის ასეთ ნაბიჯში დაინახა ლალატი ძველი დემოკრატიული იდეებისადმი. ახალგაზრდობამ და მკითხველმა დროებით გვერდი შეაქციეს პოეტს, ინდიფერენტულად დაუწყეს ყურება. სწორედ ამის გამო სწერდა პოეტი:

„За то, что я остался одиноким,  
Что я ни в ком опоры не имел.  
Что я, друзей теряя с каждым годом,  
Всюацаал врагов все больше на пути,  
За каплю крови, общую с народом,  
Прости меня, о родина, прости!“

შეცდომა პოეტმა მალე გამოასწორა. იგი კვლავ აღსდგა თავისი დი-  
დებით ხალხის თვალში და სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე მისი  
მგრძნობიარე გული ხალხის თავისუფლებისათვის სცემდა. მძიმე ავად-  
მყოფობის დღეებშიაც კი, როცა პოეტი საშინელი სევდით იყო შეპყრო-  
ბილი და სიკვდილს შენატროდა, პესიმისტური არ ყოფილა მისი დამო-

ჭიდებულება ხალხის მომავალი ბეღისაღმი. სიკვდილის წინ დაწერილ  
ერთ-ერთ თავის ლექსში პოეტი სწერდა:

„О, Русь! Ты несчастна — я знаю;  
Но все ж, озирая мой пройденный путь,  
Я к лучшему шаг замечаю“.

შეიძლება ეს ის ნაბიჯი იყო, რომელზედაც პ. მარქსი ამბობდა, რომ ჩევოლუციამ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლაო, და თავის არწივისებურ თვალებს ბობოქარ რუსეთს აპყრობდა.

6. ნეკრასოვი გარდაიცვალა. მეცხრამეტე საუკუნის ახალგაზრდობამ მისი სახით დაჰკარგა საკუთარი გრძნობების მგზნებარე პოეტი, რომელიც მთელის ხმით მოუწოდებდა ახალგაზრდობას წასულიყო იქ, სადაც შეურაცყოფილი და დამცირებული ხალხი იყო, იქ, სადაც საშინელი იყო სუნთქვა და საიდანაც მხოლოდ მწუხარება ისმოდა, პირველი ყოფილიყო იქ და მომკვდარიყო რწმენისათვის ამაყად, დაუძრახველად, მომკვდარიყო თავისუფლებისათვის, რადგან დაღვრილი სისხლი ამაოდ არ ჩაივლიდა.

6. ნეკრასოვის ეს მოწოდება თაობიდან თაობაში გადადიოდა და პოეტის სახელთან ერთად ცოცხლობდა ის ამ თაობებში, როგორც ცოცხალი ძალა. პოეტის ამ მოწოდების ძალა და მნიშვნელობა დიდი იყო მე-20 საუკუნის რევოლუციებშიც. პუშკინთან ერთად ნეკრასოვმა სათავე მისცა ჩვენი საუკუნის რევოლუციურ პოეზიას.

აი, რატომ აღნიშნავს ასეთის სიყვარულით 6. ნეკრასოვის გარდაცვალებიდან 60 წლისთვის სოციალიზმის ქვეყანა.

## 8. სატრანზილი

### ალიო მაშავეილი

(სოციალისტური ეპოსის საკითხისათვის).

ჭარბულ დროთა პოეტების აღფრთოვანება ბუნების სიუხვით და სილამაზით უფრო ხშირად ლოცვას მოგვაგონებდა, — ამბობდა მაქსიმ გორკი. და მართლაც ისტორიას ახსოებს არა ერთი მაჯალითი, როცა პოეზია მძაფრად გამოხატავდა ბუნებისადმი მონურ მორჩილებას და თაყვანის ცემას.

სოციალიზმია დაიმორჩილა ბუნება, იგი ადამიანის ბედნიერების წყაროდ აქცია. შრომაშ ბუნება სახელოსნოდ გადააქცია, გმირობისა და დიდების მოსახვეჭ ასპარეზად. ლენინ-სტალინის სუუკუნემ ახალი პორიზონტები გადაშალა კაცობრიობის წინაშე. სოციალიზმის მიერ აღზრდილმა ადამიანებმა, მთებისა და უდაბნოების მამაცმა მკვლევარებმა, არქტიკის განივებისა და გაუგალი ტაიგის დამპყრობებმა, ტრანსპორტარული გადაფრენის ენტუზიასტებმა ბუნების მრავალ საიდუმლოებას ფარიდა ახალებს და დედა-ბუნებას ნამდვილად ადამიანისა და კაცობრიობის კეთილდღეობის სამსახური დააკისრეს. ამით შეიქმნა ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში, ამით გამოიცვალა კაცობრიობის დამოკიდებულება ბუნებისადმი და ამ ცვლილებამ თან ახალი ეპოსი მოიყოლია.

გმირი ადამიანი და ბუნება — ეს იყო დასაბამიდან ეპოსის ჟარღვი და ხერხემალი. მაგრამ ძველად ადამიანი მონა იყო ბუნებისა და ეპიკისი მწერლის მდიდარი ფანტაზიაც ხშირად უძლური იყო ამ მონობის იქით გაეხედნა. ასეთი იყო, მაგ., ანტიური საბერძნეთის ეპოსი. ცხადია, ბუნების გამმითებელი ფანტაზია ვერ მიიჩნევდა ადამიანს ბუნების შესაძლებელ ბატონად.

ამით გამოირიცხებოდა ბუნების დასახვა გმირობის ასპარეზად და გამოირიცხებოდა გამარჯვებით დაგვირგვინებული ბრძოლა ბუნებასთან. ეპოსს სხვა გზები უნდა ეძებნა იმისათვის, რომ ადამიანი გმირობის შარავაზედით შეუჭოსა და მისი ვნებები უმაღლესი დამძაფრების ხარისხში ეჩვენებოდა.

ნებინა. ისტორიულად ცნობილია, რომ უპოსი ყოველ ეპოქაში დაკავშირებული იყო ადამიანის ამაღლებულ მისწრაფებებთან, ანტიურმა ეპოქაში გმირული სულისაკენ მისწრაფება, გმირობის იდეალიზაცია დაანათლა ეპიურ პოეზიას და ეს თვისება ეპოსს გამოჰყვა ისტორიის მთელ მანძილზე. ამ დებულების სისწორეს ასაბუთებს მსოფლიო ეპოსის თითქმის ყველა შესანიშნავი ძეგლი. ეპიკოსი პოეტი აშუქებდა ადამიანურ ვნებებს და მისწრაფებებს გმირულ ასპექტში, იღებდა იმ მომენტებში, როცა ეს ვნებები სცილდებოდნენ ჩვეულებრივი ადამიანური ნორმებისა და შესაძლებლობის დონეს და არაჩვეულებრივ ულფერს აღწევდნენ თავიანთი გრანდიოზულობით. ამ მიზნის მისაღწევად ეპიკური პოეტი სინამდვილით როდი კმაყოფილდებოდა, იგი ფანტაზიას იშველიებდა. ამ გზით ეპიკოსი ხატავდა არა იმას, რაც იყო, არამედ იმას, რაც უნდოდა ყოფილიყო და რასაც სინამდვილე ხანდისხან ჩანასახის ფორმაში ძლივს იძლეოდა.

ასეთი დაცილება ისტორიულ სინამდვილისაგან სოციალისტურ ეპოსში საჭირო აღარ არის. იმდენად სრულყოფილი და ყოველმხრივია ადამიანის ყველა ლამაზი შესაძლებლობის განხორციელება, ისე ლალად გაშალა ფრთა ადამიანის უნარმა და გონებამ, ისეთ სასწაულებრივ შედეგებს მიაღწია ადამიანმა ბუნებასთან ბრძოლაში, რომ თვით რეალობა ათასჯერ უფრო წარმტაცია და დიდებული, ვიდრე ფანტაზია. ადამიანი, რომელიც ძველად ბუნებისა და საზოგადოების განვითარების სტიქიური კანონების სათამაშო იყო, დღეს მჭედელია თავისი ბედნიერებისა, თავისი ისტორიისა, თავისი კანონებისა და გმირობის ასპარეზიც. ადამიანის პიროვნების გაფურჩქვნის ასპარეზიც უფრო ფართო გახდა. აჭ ახალ ეპოსს განუსაზღვრელი შესაძლებლობა ეძლევა.

ამ ორბიტშია მოქცეული ალ. მაშაშვილის „ენგური“, რომელმაც დაგვიხატა ახალი დროის გმირი. გმირის პრინციპიალური სიახლე მძაფრად იგრძნობა პოემაში. იგი მარტო ბუნებასთან ბრძოლაში როდი იმარჯვებს, საბოლოოდ იგი მორიალურად ამარცხებს სიკვდილსაც, სძლევს ღრმა პირად ტრაგედიას და მასზე მაღლა დგება.

და ეს იმიტომ, რომ პოემის მთავარი გმირი თავისუფალი ადამიანია, ძველ ეპოსის გმირი კი აუცილებლობის ტყვე და უმრავლეს შემთხვევაში მისი ტრაგიკული მსხვერპლი იყო. ბუნების აუცილებლობათა შეცნბაზე დაყრდნობილი ბატონობა თავის თავზე და გარეგან ბუნებაზე — თავისუფლება — უცხო ხილი იყო ადამიანისათვის. ამდენ ნათელი მაგალითი კვლავ ანტიური საბერძნეთის ეპოსია. ანტიური დროის ბერძენს სწამდა ბედისწერა და მოკრძალებით ცახცახებდა მის წინაშე. მისი რწმენით, ამ ჭვერად ყველაფერი განვებასა და ბედისწერას ემორჩილებოდა. პომეროსის ეპოსში თვით ზევსიც კი — ღმერთების მამამთავარი — ბედისწერის, მოირას განაჩენის შემსრულებელი და ერთგული დამცველია... ანტიური ადამიანის თვალსაზრისით, ღმერთები განაგებენ ადამიანის ბედს და მათი მსოფლმხედველობის მიხედვით ადამიანი გადარჩება დალუპვას მწარე განსაცდელში მხოლოდ მაშინ, როცა მას ღმერთები. შეიბრალებენ. „ვეფხის-ტყაოსანი“ — ეს უბრწყინვალესი რეალიზმისა რი

და ადამიანის პიროვნების გაფურჩქვნის შეუღარებელი ძეგლი — ასეთსა-  
ცე ძალას მიაწერს განგებას: „არვს ძალუძს ხორციელსა განგებისა  
გარდავლენა“, „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“, „განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ დარიდებია“.

ბუნებრივია და გასაგები, რომ ძველი ეპოსის გმირები ხშირად იღუ-  
პებოდნენ. ტიპიურია ძველი ეპოსისათვის როლანდის სიკვდილი, ნიბე-  
ლუნების ყველა გმირის დალუპვა. ასევე იღუპებიან სკანდინავური  
საგების — ვოლსუნგების — გმირები. ეს ტრაგიზმი უფრო გაამძაფრა მეცხ-  
რამეტე საუკუნის ლიტერატურაში. აიღეთ თუნდაც პუშკინი — მისი გმი-  
რები უმრავლეს შემთხვევაში განწირულნი არიან. ამ ბედს იზიარებენ  
ზარემა, ბორის გოდუნოვი, ლონ-ეუანი, სალიერი, ძუნწი რაინდი, სილ-  
ვიო „გასროლიდან“ და გერმანი „პიკის ქალიდან“ და სხვები. თვით  
პუშკინმა გენიალურად გარმოსთვეა ძველი ეპოსის გმირების ეს ბედი:

„И всюду страсти роковые,  
И от судеб защиты нет“.

მსოფლიო ისტორიაში ეპოსს არასოდეს არა პქონია ისეთი ნოუიერი  
და უხვი ნიადაგი, როგორც ახლა აქვს. სოციალისტურმა რევოლუციამ  
ახდლი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენი სამშობლოს ყოველ  
კუთხეში სჩექტს სახალხო ძალის, სიხარულისა და შემოქმედების დაუშ-  
რეტელი წყარო: ძლიერი საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე საქმენი, განსა-  
ცვიფრებელი ხასიათები, ახალი აღამიანები და მათი წარმომშობი ლამა-  
ზი ცხოვრება ხელისგულივითაა გადაშლილი დღევანდელი პოეტის  
თვალშინ. საბჭოთა პოეტის მახვილი თვალი და ფხიზელი გონება  
ყოველ ახალ ქარხანაში, ყოველ ახალ გრანიტოზულ გამარჯვებაში,  
საბჭოთა სადამიანების გმირობაში, აყვავებულ ციტრუსოვან ჩაღნარში  
ცხოვრების მრავალფეროვანობასა, სიღიადესა და სიუხვეში — ხედავს ბე-  
ლადის აზრის კონკრეტულ და ხელშესახებ განხორციელებას: ამ გა-  
გებით აქვს დახატული აღ. მაშაშვილს „ენგურში“ სტალინის პორტრეტი-  
თ ეს აღვილიც:

„ქარს გაუფანტავს განგებ ნისლები,  
ცა კრიალაა, მზეც — უუშმუენია,  
ზის ძირად სოფლის დარბაისლები  
დამსწდრან, ჩრდილი ქვეშ უფენიათ!  
შაოებ სოქვა: — ჯიბუ, შენც გახსოვს, ალბაც,  
აქ ოდეს გავლა უკირდათ ურმებს,  
ეხლა? რა არის! ხომ ხედავ, ბაბა,  
ესეც ბელადის აზრია თურმე!  
მეორემ წარბი  
გადიხსნა თვალზე  
და შორიახლო დაიწყო მზერა:  
— აქეთ უუმურიც გაწყდება ხვალზეგ,  
სტალინს უოქვამს — და, უთუოდ მჰერა!

საერთო მაღლით და მუშაობით  
ეიბრძეი, ეგ არი გულს რომ აკაუებს,  
განადგურდება ჭავლი, ჭაობი,  
ნაჩინჯის ცეცხლი დასწავს ლაქაშებს“.

მასების ბელადისადმი ეს სიყვარული და ურყევი ოწმენა, ტელადის ჩვენება სოციალიზმის გრანდიოზულ საქმეთა ფონზე ახალი ეპოსის მთავარი დამახასიათებელი და საუკეთესო თვისებაა.

ერთი გარემოება თავიდანვე უნდა ავლნიშნოთ: პოემაში გამოკვეთილია არა მარტო ცალკეული აღამიანების ტიპები, არამედ ხალხიც, მასაც არა მარტო ერთი პიროვნების მაგალითზე, არამედ მთელი ხალხის მავალითზე დახატულია ახალი, მშვენიერი გრძნობები, რომელიც ჩვენმა ეპოქამ წარმოშვა. ხალხის ფსიქოლოგია რადიკალურად გამოიცვალა საბჭოთა მოქალაქე შეჰერის თავისი ხელით შექმნილ ბეღნიერებას და მშობლიური სიხარულით განიცდის სამშობლოს ყოველ გამარჯვებას. ეს მკაფიოდ მუღლავნდება სახალხო-დემონსტრაციებზე, ზემობებზე, ახალგაზრდობის შეკრებაზე. ეს მასობრივი, საერთო სახალხო სიხარული მშვენივრადაა გაღმოცემული „ენგურის“ მეთვრამეტე თავში. იქ აღწერილია ზემო ჭალალდის ქარხნის გახსნის წინ. შეუღარებელია ეს სურათი თავისი პლასტიურობით და ახალგაზრდობის ეშხიანი სიმღერების მოტივების გადმოცემით.

სიხარული და სიამაყე სჩანს საბჭოთა აღამიანების შრომაშიც, ზემოშიც, და ამ ბეღნიერებას ერთნაირი სიძლიერით განიცდიან მოხუცებიც და ახალგაზრდებიც

და პოეტი განცალკევებით როდი სდგას მასების ამ გულისტქმრსა-გან, სტალინური ეპოქის ამ მღელვარე მაჯისკემისაგან. ის პათოსი და ენტუზიაზმი, რომელიც ძალას აძლევს საბჭოთა აღამიანებს, რომ უზარ-ძაზარ მდინარეებს მარშუტები შეუცვალონ, ახალი ჭალაქები გააშენონ, — აწრთობს სოციალისტური პოეტის ტემპერამენტსაც და ამაბე-ლებს მის კალამს, შთაავონებს მას ფართო ეპიურ ტილოების შექმნას და წინსვლის უმძლავრეს სტიმულს აძლევს ჩვენი ეპოქის ხელოვნებას.

ამ პოემის დაწერამდე მაშაშვილმა პოეტური ოსტატობის სკოლა გაიარა. საბჭოთა მკითხველი მაშაშვილს იცნობს, როგორც მგზნებარე ლირი-ულ პოეტს, „მე და ბარათაშვილის“, და სუჟეტიანი ლექსების ავტორს. ეპოური ელემენტები ნაწილობრივ მოსჩანდნენ „მის ლექსებში. „თ აღამიანი“, „ინცინდენტი უჯრედის კრებაზე“, „რიქშა“, პიესა „განგაში“ მოგვითხოვდნენ კონკრეტული აღამიანების ცხოვრებაზე, და პოემა „ენგურისათვის“ ამიტომაც ესოდენ დამახასიათებელია ლრმა კოდნა აღამიანებისა. პოემის განხილვა გვიჩვენებს, რომ ავტორი უკვე კარგად იცნობს ხალხს, ხატავს თვითეული აღამიანის მისწრაფებას, ღრმად მიმალულ გულისტქმას და ამიტომაც „ენგურის“ ტიპები ცოცხლობენ სრული აღამიანური გრძნობებით და სიცოცხლით.

„ენგური“ ნიმუშია ნამდვილი ჩეალისტური პოემისა. აქ ავტორი ჩო-  
დი სდგას წინა პლანზე, ისე, როგორც რომანტიულ პოემაში, სადაც ამ  
იყო მკაცრი გადამიჯვნა ჟანრებისა, — იგი იმალება თავის მიერ  
შექმნილ სახეებს უკან და ეს სახეები მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ  
იმპაზე, თუ ვისი, რომელი გმირის მხარეზეა ავტორის ღრმა სიმპატია და  
სიყვარული. ამით „ენგურიდან“ განდევნილია ვიწრო სუბიექტივიზმი-  
შეშმარიტი ჩეალიზმის თვალსაზრისით, პოემის იდეალოგია თვით მხატ-  
ვრულმა სახემ, სუჟეტმა უნდა გამოსთვას და არა სუჟეტში შეჭრილმა  
ავტორმა თავისი მონოლოგით და ლირიკული უკანდახევებით. და, ბო-  
ლოს, ხელოვნება ხომ სახეებით აზროვნებაა, რითაც იგი განსხვავდება  
ფილოსოფიისა და მეცნიერებისაგან, რომლებიც ცნებებით აზროვნობენ.  
პოეზიაში სახეს მარტო ორნამენტის მნიშვნელობა როდი აქვს, იგი აზრის  
დედაც არის.

ამ პრინციპის მიხედვით, „ენგურის“ საერთო ტონიც და თხრობის მა-  
ნერაც წყნარი, დინჯი და ძლიერია. ეს პოემის კომპოზიციას მეტად ნათ-  
ლად გამოკვეთილ ჩეალისტურ სახეს აძლევს. ამიტომაც ახერხებს მაშა-  
შვილი მოგვცეს შრომისა და ბუნების ცოცხალი ჰარმონია, ფართო ეპი-  
ური ტილო, სადაც სურათი ლოგიკურად მისდევს სურათს, ქვეყანა რე-  
ლისტი მხატვრის თვალშია დანახული და ამიტომ არც ერთი მთავარი  
ხასიათი და ტიპი არ არის მოუთავებელი და ყალბად დახატული. მატერი-  
ალური სინამდვილე, ყოფა, პეიზაჟი ისეა „ენგურში“ მოცემული, რომ ეს  
ვარემოცვა, ეს სინამდვილე უფრო მეტად აფერადებს თვით პოემის მთა-  
ვარ პერსონაჟებს. ასე მაგ., ამ უდაბური ენგურის ხეობის, მონგრეული  
ფანჩატურიანი ჭიშკრის, ისლით დახურული ოდის, კედელზე მიკრული  
ლურჯ-არშითანი პორტრეტის გარეშე ბესა ბუკის ტიპი ჰაერში იქნებოდა  
გამოყიდებული. პოემაში ნაჩვენებია ადამიანის ინტიმური კავშირი მატე-  
რიალურ სამყაროსთან, ნივთებთან. ამ ინტიმის თითქოს ერთის შეხედვით  
უმნიშვნელო დეტალი ხშირად აცოცხლებს ადამიანს, ადამიანის ტიპს.  
დიდი რუსი მწერალი გოგოლი თავის ერთ წერილში უჩიევს მწერლებს.  
ტიპის სრულყოფილი და ყოველმხრივი დახატვის მიზნით. ჩაიწერონ და  
დაიხსმონ ადამიანის შესახებ შემდეგი:

„С видом казист и приличен; держит руку вот как, сморкается вот  
как, нюхает табак вот как; словом не пропуская ничего того, что видит глаз,  
от вещей крупных до мелочей“.

გოგოლი დასკვნიდა, რომ ასეთი დეტალებით გამოიცნობა ადამია-  
ნი და ამით ცოცხლდება ტიპიო. ტიპის დახატვის ეს მანერა მაშა-  
შვილს ოსტატურად აქვს გამოყენებული: აი ველური, მგლური ინსტიქ-  
შვილს უმნიშვნელო აქვს გამოყენებული: აი ველური, მგლური ინსტიქ-

სწორედ იმიტომ, რომ ვხედავთ მას დახატულს დამახასიათებელი დეტა-  
ლებით და საქციელით. ბესას წარსულზე პოეტი გვიუბნება:

„ცხოვრობდა ბესა, დროთა მოდენას  
უდგა გულდაგულ როგორც ჯებირი;  
ხელთ ეპყრა კვერთში ეჩოს ოდენა  
„ინიციალით“ პირმოჭედილი“.

„ტყის სახელმწიფოს“ უფლებაშეუზღუდავი ტყაჩოსათვის ეს კვერთ-  
ზი ძლიერ დამახასიათებელია, ეს დეტალი შუქსა ჰფენს ბესა ბუკიას  
პტაცებლურ ბუნებას. აი დადგა რევოლუციის დღეც — ტყეში შეჭრენ.  
„ბესა ბუკიას დაუკითხავად“. ბოლმა და ბრაზი აღჩობს. ბესას, მაგრამ იგი  
აბჭოთა ადამიანის ნიღაბს იტარებს და წარუდგება ბურდუ შელიას  
„ზეწრისოდენა თხოვნით“::.

„ამას ხომ ხედავთ, — ბურდუს წინაშე  
ხელი გაშალა, როგორც ნიჩაბი, —  
მეც მიშრომია თოვლში, წვიმაში,  
მეც მიჯვენია მიწა პირშავი!  
ეტყობა მიწის უანგით მოცულა,  
შასთან ფრჩხილებით ნაბრძოლებია,  
ზედ აბედივით რომ ამოსულან  
მაზოლებია!  
თუ არ ვამბობდე ამას ნამდვილად  
სახლი დამენგრეს ასე, ოხრობით  
(ძირს დაახალა თავის ბოხოხი  
და იატაკზე მტკვერი ადინა).“

„ბესას ეჭირა კბილით ჩიბუხი  
და შიგ ტენიდა ნათხოვარ თუთუნს“.

ბესა ბუკია სიტყვით გამოდის კრებაზე, ავტორი ამ სურათს ასე გვი-  
ხატავს:

„აი წამოდგა ბესა ბუკიაც.  
დარბაისლურად სწორდება ტანში,  
სიტყვა ითხოვა ორწუთიანი,  
მაქაცარიამ დაუკრა ტაში!  
ბესა სცენაზე ადის როხროხით,  
მოშვებული აქეს ჩექმა რუსული,  
ფრთხილად მოიძრო გრძელი ბოხოხი  
და შერჩა თავი გადატრუსული“.

ბესა ბუკია მოხსნეს სამუშაოდან, იგი ზის სახლში და

„დარდობს, არაფერს ხელს აღარ ჰყიდებს,  
გახუნდა როგორც გინახავთ ჩხირი,  
დარდობს დღე და ღამ, ამ დარდში კიდეც  
ჰკვდარი ძმასავით მოესწრო ცხვირი“. 1

უფრო მკვეთრად ახასიათებენ ბესას შემდეგი სტრიქონები:

ქოხი წელშივე გაწყვეტილია,  
შემონგრეული აქვს გალავანი,  
ზემოდან ისლიც გაცვეთილია,  
როგორც ბუკიას თავზე ბალანი.  
რა ქნას? ყოველმხრივ სიქესატეა,  
ის ამგვარ ყოფას არ შეჩვეულა,  
ოთახში მხოლოდ კედლის სარგეა,  
ისიც რღვეულა და შენჯლრეულა...  
მის წინ ბესა დგას ყბა-შეხვეულად,  
აფსუს! ძველი შნო, ჩახელულება,  
ჩრდილად ქცეულა და შერყეულა  
მისი ტანწელის აგებულება.

აი, პორტრეტი, ოჯახის წესად,  
ხანტურელი — და, ლურჯ-არშიანი,  
შეუღლის გვერდით დამდგარა ბესა  
ნახევარ-არშინ-ულვაშიანი!  
გრძელი ბოხოხი, ქილები, ქამარ  
ჩოხა-ახალუხს რაც კი შეფერის,  
ჭიპზე ჰკიდია ლივერი, ყამა  
ჭველთა ძველი-და უშვცლებელი!  
მხოლოდ პორტრეტი დროთა ბრუნვაში  
გამოცვლილიყო ადრე და ძლიერ,  
ცხვირის არ იყოს, ცალი ულვაშიც  
შებილწულიყო ბუზების მიერ".

აი ასე სპეციფიკურ და ტიპიურ გარემოებაში მოცემული ბესა ბუკიას ტიპი, ამ ტიპიურ გარემოებათა კომპლექსა და ფონზე, როგორც დავინახეთ, ამოქარებულია ამ ადამიანისათვის დამახასიათებელი ყოველი დეტალი. ამ განხრითაა დაწერდილი მთელი პოემა. მასში ყოფითი კომპონენტები და პეიზაჟები უფრო სრულყოფილად აშუქებენ აღებულ ტიპს და არავითარ შემთხვევაში თვითმიზანს ან წარმოადგენენ.

როგორ არის აგებული „ენგურის“ სუჟეტი?

მხატვრულ ნაწარმოებში, რომელიც მდორედ და უინტერესოდ არ ვთარდება, ყოველთვის მოცემულია ორი, მოწინააღმდეგე მიშართულებით. შზარდი მოქმედების დაპირისპირება, ორი ან რამდენიმე გმირის დაპირისპირება. ეს დაპირისპირებაა სუჟეტის კვანძი. ამის მაგალითია თუნდაც გორკის „სიმღერა შევარდენზე“. აქ უპირისპირდებიან ერთმანეთს ან კარა, რომელიც დაბადებულია იმისათვის, რომ მიწაზე ხოხავდეს, და შევარდენი, რომლებიც დაბადებულია იმისათვის, რომ ფრინავდეს ლავარდებში. სუჟეტური კონფლიქტის გარეშე მხატვრული ნაწარმოები უსიცოცხლოა და თავის ავტორზე ადრე კვდება. სოციალური კონტრასტი „ენგურში“ მთელი სიმძაფრითაა მოცემული. ამისათვის უხვ მასალას კლასობრივია ბრძოლა იძლევა. „ენგურში“ მოსჩანან, ერთის მხრივ, ბურდუ შელია და

ახალი მზიური ქვეყანა, კეთილშობილური აღამიანები, მეორეს მხრივ — კაპიტალისტური კლასების ნაშთები, რომელთაგან ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურა ბესა შეუკიაა. მთავარი გმირი პოემისა ბურღულულია, რომელსაც ესოდენი სიყვარულით გვიხატავს ავტორი. ამ გმირში შკითხველი ადვილად იცნობს ჩვენი დროის სახელოვან აღამიანს.

„ენგური“ გულწრფელი პოეტური წარმოსახვაა ჩვენი სოციალისტური სინამდვილისა. პოემის პირველ თავებიდანვე ვეცნობით ენგურის ხეობას, — იმ ასპარეზს, სადაც შემდევ თავებში გმირების მოქმედება ვითარდება. სამეგრელოს ბუნების მშვენება და სილამაზე გადაშლილია პოემის თვალისმოშრელ პეიზაჟებში. ეს არის პეიზაჟები, დაწერილი სოციალისტური რეალიზმის პრინციპით. ამიტომ მაშაშვილის პეიზაჟი თვითმიზნური არ არის, ის სოციალური ფუნქციების მატარებელიცაა. ასე რომ მაშაშვილის პეიზაჟი რადიკალურად განსხვავდება ძველი რომანტიკოსების პეიზაჟისაგან, რომელნიც ბუნებაში, ლაჟვარდოვან ცის განსჭვრეტაში უღაბური ტყეების მყუდროებაში ტანჯული და ნაჭრილობევი სულის სამკურნალო ბალზამს ეძებდნენ. სოციალისტურმა რევოლუციამ ლიტერატურაში, თვით ქანრების თვალისწილისთაც, რადიკალური ცვლილებანი მოახდინა. ძველი პეიზაჟი დაკავშირებული იყო საზოგადოებრივ ინდეფერენციზმთან. ბუნების სილამაზით გატაცება ხშირად ნიშანი იყო იმისა, რომ პოეტი გაურბოდა რეალურ სინამდვილეს და მხოლოდ ბუნებას, „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა“ ამცნობდა თავისი გულის საიდუმლოს. არსებითად გამოიცვალა ამ უანრის მიზან-დანიშნულება. პეიზაჟი, საზოგადოებრივი გულგრილობის ნაცვლად, ახლა სწორედ პოეზიაში პოლიტიკურის სიმახვილისა და მგზნებარე სიცოცხლის შაჩვენებელია. სიყვარული ჩვენი გაშლილი ყანებით მოოქროვილი მინდვრებისა, ჩვენი დაბურული ტყეებისა, დიდი მდინარეებისა, აყვავებული ბაღებისა, სიყვარული ლაჟვარდოვანი ცისა, სადაც ჩვენი თვითმფრინავები დაფრინავენ, სიყვარული ზღვებისა და ოკეანეებისა, რომელნიც საბჭოთა მიწაშეკალს და საზღვრებს ეკვრიან, — ეს არის სიყვარული სოციალისტური სამშობლოსი. პეიზაჟი, რომელსაც სოციალისტური ხელოვნება ჰქატავს, გვაგრძნობინებს ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სილამაზეს და ამძლავრებს საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობას, ამძლავრებს სიყვარულს იმ მიწისა და წიაღისაღმი, რომლის არც ერთ მტკაველს ჩვენ არავის არ დავუთმობთ.

ამ გაგებით და გრძნობით არის დაწერილი მაშაშვილის „სამშობლო ბელადისა“ და „ენგურის“ ბუნების სურათები.

პოემის პირველ თავში ავტორი ენგურის ხეობის უდაბურებას ასახავს:

„აქ არც სილურჯე, არც სიმწვანეა,  
არც მზის პირი ჩანს, არც ცის ტატნობე,  
თან ისე ბნელა და სიწყნარეა,  
რომ მიწის ბრუნვაც არის საგრინობი.  
მუდან ბნელი და ხუთასწლიური  
მოსჩანს ფოთლების ცა დაღვრემილი,  
ჭირს ეცემიან ცვარი ციურნი  
ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავებივით“.

საუცხოვდ აქვს პოეტს გაღმოცემული ეს რაღაც ზეიადი მყუდროება ულრანი ტყისა. აქ ნადირიც კი სუნთქვა-შეკრული დაღის, აქ დაცვენი-ლი ფოთლების შრიალიც კი შიშა და ურუანტელს იწვევს.

ამ ტყეში ნადირობდნენ დადიანები და აქ ოდესლაც თავს აფარებდა სახელგანთქმული პარტიზანი უტუ მიქავა.

ეს ტყე აურჩევია თავის ბუნაგად ბესა ბუკიას.

მაგრამ აი გავიღნენ დრონი და ოვოლუციაშ ეს ტყეც სახალხო სა-კუთრებად აქცია. იწყება ბრძოლა ბუნებასთან. „ტყის სახელმწიფოს“ ესტუმრა საბჭოთა ქვეყნის მეცნიერება იმისათვის, რომ სოჭის ხევის, ჭადრის, ნაძვისა და ჩინარის ეს ლაშქარი

„...ადაიშალოს  
სოციალისტურ წიგნის ფურცლებად“.

საუცხოვოდ აქვს პოეტს ასახული უდაბური ტყის უეცარი ახმაურება, შრომის პროცესი, და იქვე პირველ რიგში ვხედავთ სიციალისტური მშე-ნებლობის მგზნებარე ენტუზიასტს — ბურდუ შელიას:

„თითქო ზღვის ქარი ამოგრიგალდა  
ააბობოქრა ტყე ხმაურობით,  
ალბად იმარჯვებს ხე-ტყის ბრიგადა  
ბურდუ შელიას მეთაურობით.  
სურიან ხეებს — და მიაქვთ ქარხნამდი,  
ხე არის ნორჩი, არის წლოვანი,  
ქარხანამ უნდა მოგვცეს ქაღალდი  
ოეორი და მაღალ-ხარისხოვანი“.

ამ საერთო ფონზე თანდათან იზრდება და სრული სახით სდგას მკით-ხველის წინაშე ბურდუ შელია. ეს ახალგაზრდა ადამიანი ნაჩვენებია ყო-ველმხრივ: მას ვხედავთ კრებაზე, მშენებლობის ხარახოებზე, ხე-ტყის ბრიგადაში, საყვარელ ქალთან, ვხედავთ მის დიდ სიხარულსაც და პირად უბედურებასაც. ამ ასპარეზზე ყოველშესრუ ჩანს ადამიანი. პოემაში ვე-ნობით ბურდუ შელიას ბიოგრაფიასაც, ბავშვობისას — მწყემსიბა, პირ-ველი ჭაბუკური გატაცება და პირველი სიყვარული, შემდეგ მუშთაკი, ღაულალავი სწავლა, ბრძოლა მეცნიერების ღაუფლებისათვის, ქარხნის პროექტის ღისერტაცია, რომელიც სახელმოხვეჭილ პროფესორების წინა-შე დაიცვა ბურდუ შელიამ, და, ბოლოს, ენგურის ქარხნის მშენებლო-ბა, — ასეთია პოემის გმირის ბიოგრაფიის მთავარი ეტაპები.

და აი უცებ ვეებერთელა ნის ჭვეშ მოჰყვა ბურდუ შელია. მას მარც-ხენა ფეხი მოსჭრეს. ეს საშინელი პირადი უბედურებაა ახალგაზრდა ადა-მინისათვის. ბურდუ შელიას მოურჩა ჭრილობა, მაგრამ ამ ფიზიკურმა მარცხს იგი საყვარელ საქმეს ჩამოაშორა. ამ ახალგაზრდა ადამიანის სულში მაინც არ დაცხრა სიცოცხლის სტიქია, პოემის მეთექვსმეტე და მწრვილმეტე თავებში გამოხატულია ბურდუ შელიას გაგიუებული წყურ-

ვილი სიცოცხლისა, ტრფობა ცხოვრებისადმი. ახლა ბურდუ თითქოს  
პირველად ხედავს ბუნებას, თითქო ბავშვის თვალით უცქერის ჭვეყანას:

„ტყე და ტყე რომ ჰყეფს ნაკადულია,  
ჟოაქეს ამბები მთების, მდელოსი,  
ცას რომ გაპხედავ: დახატულია,  
თითქოს რუკაა საქართველოსი.  
ფირუზის ეს ცა, ეს ვერცხლის მთვარე  
მას არ ენახა თითქოს არასდროს,  
ერ. რა კარგი ხაჩ, მშობელო მხარევ;  
სთქვა ნაღვლიანად და გზა განაგრძო“.

ბურდუ შელია თითქო სრულიად თოვითება ბუნებაში, დასცემის  
ენგურის მჩქეფარე ტალღებს და თავის ბავშვობა აგონდება. მძიმე სასო-  
წარკვეთილება ეუფლება ბურდუ შელის, მაგრამ თავის მოკვლას მას  
არ აცლის ქარხანა, რომელიც კვლავ ეძახის ბურდუს და ერთი თვალის  
დახამხამებაზე ჰფანტავს მის ნაღველს.

ეს უბრალო შემთხვევა როდია. ეს ლოგიკური გზაა პოემის გმირის  
ცხოვრებისა. ამით პოეტმა გვითხრა, რომ ახალი ადამიანი სისხლით და  
ხორცით დაკავშირებულია თავის საყვარელ საქმესთან. ბურდუ შელის  
გულში ჩაკლული ამოოხრანი იცვლებიან ისევ გმირული გზებით და გა-  
ტაცებით. იგი უკვე ორდენისანი გმირია. გახარებული მიეშურება ქარხნი-  
საკენ, მაგრამ ამ ზეიმის წუთებში, ჩნდება ახალი დაბრკოლება: ტივები  
ჩაულეწია და ჩაუხერგია მდინარეს, მამაცურად გადახტება ბურდუ. შე-  
ლია წყალში, კვლავ მოერევა იგი აზვირთებულ და გაშმაგებულ სტიქ-  
ის; როგორც იგი სიკვდილს მოერია, და გამარჯვებული გამოდის ნა-  
პირზე.

და ეს ახალგაზრდა ადამიანი, გმირობის შარავანდედით გარემოსილი,  
კვლავ უბრუნდება საყვარელ კოლექტივს. სწორედ აქ არის ოპტიმიზმი,  
რომელიც მთავარი და აუცილებელი თვისებაა სოციალისტური ეპოხის  
დადებითი გმირისა. მიუხედავად წუთიერი მერყეობისა და წამოჩინებისა,  
ნომ ამაღლდა ბურდუ სოციალისტური შეგნების ძლიერების სიმაღლემდე.  
ამით მაშაშვილმა ნათელი ფერებით გვიჩვენა, რომ ადამიანი, რომელიც  
აღზარდა სოციალიზმა, უძლეველია, რომ ამ ადამიანს და; კერძოდ, ბურ-  
დუ შელის ვერაფერი ვერ ამოჰგლეჯს ჩვენი ცხოვრებიდან. ამ ტიპით  
მაშაშვილმა გვიჩვენა სოციალისტური ადამიანის ფსიქოლოგიური ფორ-  
მირება.

პოემაში არის რომანიული ხაზიც — ეს არის ბურდუ შელის და ლია  
ლენდიას სიყვარული. ეს სიყვარული გაშუქებულია ლირიკულ ასპექტში,  
სამაგიეროდ ბესა ბუკიას დახატვის დროს პოეტმა მწარე ირონია მო-  
მარჯვა. პოემაში სატირა, რისხვით და გულისწყრობით სავსე სატირა  
გამოყენებულია იმისაზე, რომ პოეტმა უფრო მკეთრად დაუპირისპი-  
როს თავისი გრძნობა. ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ბოროტებას,  
რომლის კონკრეტული სახე ექსპლოტატორული კლასის ნაბოლარა ბესა

ბუკია. ასევე სატირულ ფერებში არიან გაღმოცემული ეპიზოდური ტი-  
პები — მაქაცარია და იუ, ბესა ბუკიას გაუთხოვრად დარჩენილი და...  
მაქაცარიას არ გააჩნია საკუთარი პიროვნული ღირსება, ის ბესა ბუკიას  
სამკაული და დამატებაა. პოეტი მის შესახებ სწერს:

„ბესამ რომ უთხრას თუნდ მზის შესახებ,  
სს მზე კი არა — ქორია,  
ერთს აიხედავს მაღლა მზესაკენ  
და უეჭველად იტყვის — სწორია“

აქ კალმის ერთი მოსმით დახატულია ტიპი აღამიანისა, რომელსაც  
შერჩენია მონური ფსიქოლოგია და რომელსაც ამ ქვეყნად არავითარა  
პრინციპი, არავითარი წმინდათა წმინდა არ გააჩნია.

სულ რამდენიმე სტრიქონში ასევე მკაფიოდ და ასეთივე დამახასიათე-  
ბელი ნიშნებითაა ასახული ბესა ბუკიას დაც:

„ზის ფანჯარასთან ბაიუშივით  
და გლოვობს თავის ახალგაზრდობას!“

ამბობენ, დღესაც არის ქალწული,  
სძულს ყველაფერი ღვარძლით დავეშილს,  
ამედ-გამქრალი და გაქარწყლული  
გარბის, თავს იხრჩობს მღვრიე სარკეში!

რაც შეეხება მის წლოვანებას  
არალეგარულ პირობებშია!“

ყველა ესენი ცოცხალი ტიპები არიან. ამაშია პოემის ერთ-ერთი შილ-  
წევაც. ამ ძველი ეპოქის აღამიანების შემკრები, სინთეტური ტიპი არის ბე-  
სა ბუკია. რა ღრმა კონტრასტი და გარდუვალი უფსკრულია, ერთის მხრივ,  
ამ აღამიანებსა და, მეორეს მხრივ, ბურდუ შელიას, მათე მოხუცის, ლი-  
ლენდიას შორის! აღამიანებს ეს ორი ჯგუფი გამოხატავს ორ ქვეყანას.  
ბურდუ შელია, ლია ლენდია, მათე — ეს ახალი ქვეყნის აღამიანები არი-  
ან, ახალი ფსიქოლოგით და მღიდარი სულიერი ცხოვრებით, მეორე  
მხარეს დგანან ბესა ბუკია და მისი თანამოაზრენი — ეს ღვიძლი შვილე-  
ბი იმ სოციალური წყობილებისა, რომელიც ოცი წლის წინათ აღგავა  
პირისაგან მიწისა სოციალისტურმა რევოლუციამ. ბესა ბუკია და მისი  
თანამებრძოლები — ეს განადგურებული კულაკური კლასის ნაბოლარები  
არიან, რომელთა ცხოვრებაშიც სივერაგე და ფარისევლობა დამკვიდრე-  
ბულა. ეს მკვეთრი დაპირისპირება ახალისა და ძველისა, კეთილისა და  
ბოროტისა არის „ენგურის“ სუჟეტური კონფლიქტი, რომელიც იხსნება  
ახალი აღამიანის გამარჯვებით, სიკვდილის მორალური დაძლევით და

“შრომის დიდების ზეიმით, ამაშია პოემა „ენგურის“ ეპოქალური სილრმე და სიმახვილე.

„ენგური“ ყურადღებას იქცევს ახალი ორიგინალური სახეებით და ნაგ-დვილი ხალხური უბრალოებით.

ალიო მაშაშვილის პოემაშ, რომელიც აღჭურვილია ბოლშევკური ადეურობით და ოსტატობით, გვიჩვენა ჩვენი ცხოვრების მრავალფერა-დოვნება, სიდიადე და სიუხვე. ეს არის ლრმად პოლიტიკური, ლრმად პოეტური ქმნილება. მას აქვს საბჭოთა პოეზიის ყველა საუკეთესო თვი-სება: უნაზესი სიყვარული სამშობლოსადმი, უმძლავრესი სიძულვილი მტრისადმი, ნათელი და გაბედული სახეები, პოეტური ცეცხლი და გა-ტაცება. ეს პოემა კეშმარიტად ამდიდრებს სოციალისტური ხელოვნების არსენალს.

## ალექსანდრე უაზბეგი და მუცის ცხრაზურა

ბავშვობიდანვე აითვალწუნა ალექსანდრე ყაზბეგი მისი შშობლების ნაცნობ-მეგობრებისა და ნათესავების წრებ. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან ქირდავდა და აგინებდა მას ოფიციალური თავად-აზნაურულ-ჯაციონალისტური და ბურუუაზიული კრიტიკა. დაუღალავ და დაუცხრომელ მრავალწლიან მოღვაწეობის მთელ მანძილზე სულს უხუთავდა მას რუსეთის ცარიზმის მწვავე საცენზურო პოლიტიკა.

თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი ასე ხსნის საზოგადოებისა: და კრიტიკისაგან თავის აბუჩად აგდების მიზეზს:

„მე შემთხვევით არ გამოვსულვარ სალიტერატურო ასპარეზზედ, რადგანაც თოთხმეტის წლისა ვიყავ და თითქმის ძლიერდა ვბლაჯნიდი, როდესაც პირველად დავწერე სცენები კომედია „აღმზდელებიდგან“.

მაშინ მე თუმცა დედმამისაგან განებიერებული შეილი ვიყავ და ჩემის სიამოვნებისათვის არას იშურვებდენ, მაგრე იმრგვლივ მყოფნი რაოდენადმე მჩაგრამდენ. თუმცა მართალია სახალხოთ ვერას მიბედამდენ, მაგრამ რადგანაც მამაჩემი შეძლებული კაცი იყო, მეზობლებზედ წინ იდგა და გავლენა ჰქონდა.

ჩვენ დროს განსაკუთრებით საუბედურო ხასიათი ჰქონდა. ერთმანეთისთვის პირში სული გვშურდა, მამაჩემმა მრავალი მტერი გაიჩინა. ესენა მასთან ხმის ამოღებას ვერა ბედავდენ და თავის ბრაზს ჩემზედ ყრალობდენ“.<sup>1)</sup>

მხოლოდ გამზდელი ნინო იდგა მოპირდაპირე მხარეს და ყოველმხრივ ცდილობდა ჩაენერგა ახალგაზრდა სანდროსათვის სიძულვილი ბატონყმობისადმი, ხოლო დაჩაგრულ ხალხისადმი პატივისცემა, თავდადება და სიყვარული.

გამზდელისადმი სახსოვრად გაგზავნილ „რვეულის“ წინასიტყვაობაში ალექსანდრე ყაზბეგი შემდეგი სიტყვებით მიმართავს მას:

„ჩემო გამზდელო ნინო! ჩემისთანა ღარიბ კაცს, რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს ან სახსოვრად და ან მოგიძლვნას? ამაზედ უძვირფასესი მე არა მქონდა-რა და ამის გამოისობით შენ გიძლვნი ამ რამდენიმე ჩემი გრძნო-

<sup>1)</sup> საჭ. შუზ. პოლ. განკ. ყ. წ. კ. გ. ს. ხელთ. № 3981.

პის და სულის მოძრაობას, რომლის აღზღაშიაც შენ ისეთს მონაწილეობას იღებდი.

აბა მოიგონე ის დროება; როდესაც მე ბავშობაში მივლიდნენ ისე როგორც მეფის შვილს; შანებივრებდენ უკანასკნელ გარყენილებამდინ; მასწავლიდნენ შურს, ამპარტავნობას და სიძულვილს!

ხელის ხელ ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები: „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგეში“, „მექოპრეები“ და სხვა და სხვა... რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდებოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა.

გახსოვს რა თანაგრძნობით მიყვებოდი მოსამსახურის და ყმის მდგრადობაზედ ბატონების ხელში?.. გახსოვს შენმა სიტყვებმა რამთენჯერ დამალვრევინა მდუღარება ცრემლები და თანამაგრძნობინა ტანჯული ხალხის უსამართლოებისაგან, პირებისათვის?

შენი სიტყვები არ დაიკარგა მუქთათ და აქ დაიმარხა ჩემს გულში. და ეხლა ამთვენი ხნის განმალობის შემდეგ, როდესაც შემიძლიან ანგარიში მივცე ჩემს მოძრაობას, შემიძლიან სიამაყით გითხრა, შენს გაზღილში თუ იპოვება რაიმე, რიგიანი ბავშობიდგანვე ჩანერგილი, იმის მიზეზი შენა ხარ, რომლისთვისაც გმაღლობს წარმოუთქმელათ“<sup>1)</sup>.

გამზღელ ნინოს შრომა და ამავი უბრალოდ არ დაიკარგა. რუსეთში ხალხოსნურ მიმართულებაზიარებული ალექსანდრე ყაზბეგი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ხელს იღებს არისტოკრატიულ ცხოვრებაზე და იწყებს მეცხვარეობას, რომ გაიცნოს ხალხი, რათა მათი ტანჯვა და მწუხარება ვაიზიაროს.

„ნამწყებსარის მოგონებანი“-ს შესავალში ალექსანდრე ყაზბეგი ამის გამო სწერს:

„პირველი ჩემი ნაბიჯი ყველამ, განურჩევლად ყველამ, მასხრად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო, მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი და ეს იქამდის ძლიერი იყო, რომ არავითარს ჩეცვას ყური არ ვუგდე; მე შინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზედ გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს“<sup>2)</sup>.

აქ „ხალხში“ ყოფნისას საბოლოოდ ჩამოყალიბდა ალექსანდრე ყაზბეგში მძაფრი დემოკრატიზმი, სიძულვილი თავადაზნაურულ ველურ უღლისაღმი და პროტესტანტული განწყობილება რუსეთის თვითმმკრთბელობის აგრესიულ პოლიტიკისაღმი, რომელიც ასეთი დიდი ოსტატობით გადავიშალა მან თავის მოთხოვნებსა, პიესებსა, ლექსებსა და ეთნოგრაფიულ წერილებში, და რომლებთანაც ასე გამუღმებული ბრძოლის

<sup>1)</sup> საქ. მუს. პალ. ვან. ყ. ნ. კ. გ. ს. ხელ. № 3982 „სახსოვარი რვეული პირველი, ალ. ყაზბეგისა“ გვ. 1.

<sup>2)</sup> ა. ყაზბეგი — „თხზულებანი“, 1904 წ., გვ. 727.

შარმოება უხდებოდა მეფური რუსეთის უანდარმულ ცენზურას, როგორც გამომხატველს მონარქიული სახელმწიფოს ლიტერატურულ პოლიტიკისას.

ალექსანდრე ყაზბეგის მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვან არქივი საცენზურო კომიტეტის საქმეებთან ერთად მდიდარ მასალას იძლევა, გამორკვეულ იქნას მის თხზულებათა ცენზურული ისტორია.

ამჟამად მე ალექსანდრე ყაზბეგის მხოლოდ ორ თხზულებას „ელგუჯასა და „მამის მკვლელს“ შევეხები.

1881 წელს გაზ. „დროების № 125-დან დაიწყო ალექსანდრე ყაზბეგის თავის სახელგანთქმული მოთხრობის „ელგუჯას“ ბეჭდვა, მაგრამ მკაცრი საცენზურო პირობების გამო აღნიშნული თხზულება ისე ვერ გამოქვეყნდა, როგორც იყო მომზადებული ავტორის მიერ სასტამბოდ.

ამის გამო ალექსანდრე ყაზბეგმა იმავე წლის გაზ. „დროების“ № 251-ის საშუალებით შემდეგი აცნობა თავის მკითხველებს: „ზოგი გაზეთში ადგილის სიმცირის გამო, ზოგიც სხვა და სხვა (წაიკითხე — საცენზურო — ი. ბ.), ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ეს მოთხრობა ისე ვერ დაიბეჭდა, როგორც მომზადებული იყო. ამ ცოტა ხანში კი, ცალკე წიგნად, უფრო ვრცლად და შესწორებული გამოვა.“.

მართლაც 1884 წელს ალექსანდრე ყაზბეგმა შესძლო ცალკე წიგნად გამოეცა „ელგუჯა“-ს თითქმის სრული ტექსტი, მაგრამ ცენზურას მთელი ტირაჟი სტამბაშივე დაუჭერია და დაუწვავს, გადარჩენილა ერთი თუ ორი ცალი, რომელიც ავტორს და ასოთ-ამწყობებს წაულიათ.

ალექსანდრე ყაზბეგი მუდამ თან ატარებდა ცენზურის მიერ აკრძალულ „ელგუჯას“ ეგზემპლარს და იშვიათად თუ ვინმეს ათხოვებდა წასაკითხავად. ჩემი ცნობილი მწერალი დავით კლდიაშვილი ამ საკითხზე სპეციალურად დაწერილ თავის მოგონებაში მოგვითხრობს:

„ერთხანს „ელგუჯა“ აკრძალული ნაწარმოები იყო. ცენზურამ ჯერ დართო ნება ცალკე გამოეცათ, მაგრამ, როცა ნაწარმოები დაიბეჭდა, აიკინძა და გასასყიდლათ უნდა ვამოსულიყო, ცენზორმა ვამოცემა დააკავა, აღარ ვამოსული გამოაშვებინა და წაიღო. ყაზბეგმა მოასწრო მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლიარის ვალანახვა და ერთი ეგზემპლიარი მუდამ თან დაქონდა ნამალევად.

ერთხელ, მის ბათუმში ყოფნის ღროს, შევსჩივლე რომ ვერსად ვიშოვე მისი „ელგუჯა“ რომ წამეკითხა, მან მითხრა რომ გათხოვებ ჩემს ერთად ერთ გადარჩენილ ეგზემპლიარს, თუ პირობას მომცემ რომ მოთხრობას ტამით წაიკითხავო — ეშინოდა არ წაერთმიათ. მეც რასაკვირველია სიტყვა. მივეცი და ორი ღამე მისი კითხვით ვსტკბებოდი თან და თან დაიმედებული რომ ვერავინ დამინახავდა მას ხელში, ვერ წამართმევდა და ვერ დამიკარგავდა მისი წაკითხვის საშვალებას“<sup>1)</sup>.

1884 წელს ცალკე წიგნად გამოცემულ „ელგუჯა“-ს ტექსტი აუკრძალავთ იმის გამო, რომ ალექსანდრე ყაზბეგს თურმე ნება ჰქონია ცალკე

<sup>1)</sup> ურ. „ხელოვნება“ — ქუთაისი, 1919 წ., № 2, გვ. 4.

წიგნად გამოეცა „დროებაში“ დაბეჭდილი ტექსტი, ხოლო ავტორს ცალკე წიგნად გამოცემისას დაუბეჭდია ცენზორის მიერ ამოღებული ადგილებიც.

1891 წელს „ქართველთა ამხანაგობის“ მიერ გამოცემულ ალექსანდრე ყაზბეგის „თხუზულებანის“ პირველ ტომში ცენზორს ამოუგდია გვერდნახევარი. ასევე დაიბეჭდა „ელგუჯას“ ტექსტი 1904 წელს გამოცემულ ალ. ყაზბეგის თხზულებათა ერთომეულში.

ცენზურის მიერ 1891 წელს ამოგდებული ადგილი სახელმწიფო გამოცემლობის მიერ 1924 წელში გამოცემულ ალ. ყაზბეგის „რჩეული მოთხრობების“ პირველ ტომში მე-86 გვ. ქვევიდან მეხუთე სტრიქონი. იწყება აბზაცით: „გათენდა დილა“ და თავდება მე-88 გვ. ზევიდან მე-13 სტრ. სიტყვებით... „და ჯარს გასვლისას“.

გაზეთ „დროებაში“ „ელგუჯას“ გამოქვეყნების ერთი წლის შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგმა იმავე, გაზეთის მეექვსე ნომრიდან დაიწყო თავის „მამის მკვლელის“ ბეჭდვა.

ამ რამდენიმე წელი წინად საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილების ყოფილ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ფონდში მე ვნახე „მამის მკვლელის“ ცენზურაში გატარებული ხელთნაწერი, რომელიც დღემდე არც არავის შეუსწავლია და არც ყურადღება მიუქცევია.

ახლად აღმოჩენილი ხელთნაწერი № 5046 ზომით 22×18 სანტ. შეიცავს 184 ფურცელს. ხელთნაწერის პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ: „მამის მკვლელი (მოთხრობა) ა. მ. მოჩხევარიძეს (ყაზბეგისა). „Отце-убийца რоман А. М. Мочхеваридзе (Казбека)“.

ხელთნაწერის პირველ გვერდზევე ზევით, მარცხენა მხარეს 80 კაპ. საღერბო მარკა და მასზე წარწერა რუსულად: „7 сект. 90 г.), რაც გვიჩვენებს იმას, რომ ხელნაწერი საცენზურო კომიტეტში შემოსულა 7 სექტემბერს 1890 წელს.

„მამის მკვლელის“ ამ ყოველმხრივ საინტერესო ტექსტს აქვს ხელთნაწერის ფურცლების გასწვრივ და ბოლოში საცენზურო კომიტეტის ვიზა რუსულ ენაზე ასეთი ხასიათისა:

„Дозволено цензурою на трех стах шестидесяти восьми листах 25 сентября 1890 года Тифлис цензор Князь Рафаил Давидович Эристов“.

ხელთნაწერ № 5046-ს მოხვედრია მეფური ცენზურის მეტად მკაცრი ხელი. რომნის თითქმის ერთი მეოთხედი ამოშლილია წითელი მელნით.

ხელთნაწერის 9 ფურც. მეორე გვერდიდან სიტყვებიდან: „გლახა, მოვიდა დარიელის ციხესთან“... 11 ფურც. პირველი გვერდის სიტყვებამდე: „უნდა გამართულიყვნენ ვლადიკავკაზისკენ“ ამოშლილია ცენზურის მიერ.

24 ფურცლის მეორე გვერდის დასასრულიდან 25 ფურცლის პირველ გვერდის დასაწყისამდე ამოღებულია შემდეგი ადგილი: „მემრე მოსული-ყო რაიმე რუსის ყაზახები, დეეჭირათ ცხვრები და დახოცვას თურმე უპირებდნენ“...

26 ფურცლის მეორე გვერდის დასასრულიდან 27 ფურცლის პირველ გვერდის დასაწყისამდე ამოშლილია:

„— უღმერთონო! უსამართლონო! შეუბრალებელნო! გაზვწყვიტეთ ბარება, დალიეთ ჩვენი სისხლი! გასძახოდნენ გლეხ-კაცები, რომლებთაც მათრახებით უღმერთოდ და შეუბრალებლად სცემდნენ. ცხვირი პირი, ყურები აღარ გააჩნდათ საცოდავებს, და თქმიალით გადმოსდიოდათ სისხლი...

ჩქარა შემოფანტეს ეს ხალხი, რომელთ მწუხარებას რაღაცა სიამოვნებით უყურებდა ამ ბრძანების მიმცემი და ხან-გამოშვებით აქეზებდა ერთგულ აღმასრულებლებს...

— აგრე, აგრე... ყოჩალ, ყოჩალ!

როდესაც ცოტა გული იჯერა ამ სურათით დიანბეგმა, რიგი მიერგო იაგოს, რომელსაც ასე დღის გამწარებას უპირებდა“.

54 ფურცლის პირველი გვერდის დასაწყისში ცენზურის მიერ ამოღბულია:

„გულ-შემოყრილმა ნუნუმ, როდესაც გონს მოვიდა და თვალები გაახილა, დაინახა თავის მტარვალის სახე, რომელსაც მასხრად აეგდო, დაემცირებინა იმისი ყმაწვილი ქალობა, იმისი ნამუსი!

რაწამს ნუნუ გონს მოვიდა, ზიზლით წამოვარდა და დაიწყო ტირილი. ისა პხედავდა თავის თავს გაუპატიურებულს ღმერთისა და კაცის წინაშე, იმას სიტყვა ვეღარ ამოელო სირცხვილით და ჯავრით, მაშინ როდესაც გირგოლა, წამოწოლილი მხარ-თეძოზედ, ლიმილით უყურებდა.

— მოდი, ქალაუ, სად გარბი?.. ეხლა მაინც ჩემი ხარ. უთხრა გირგოლამ და ქალისაკენ მისაზიდად გაიშვირა ხელი“.

ხელთნაწერის 59 ფურცლის პირველი გვერდის დასასრულს ამოღებულია:

„რასაკვირველია, ზიზლით უყურებდა ყაზახებს, დაუფერებელთ, ბინძურ-მოლაულანდარეთ... რასაკვირველია, ჭირის ჩასახლება ერჩივნათ ყაზახების ჩაყენებას, რომლებიც, თავის ჩვეულებისამებრ, ქალებთან დაიწყებდნენ თავისუფალ ლაულანდარობას და შეუდებოდნენ ყოველგვარ ხოფლის ნამუშავრის გაჩინაგებას“.

66 ფურცლის მეორე გვერდის დასასრულის ფრაზიდან: „— გუშინ სოფელში გამგზავნა ნაჩალნიქმა“... 67 ფურცლის მეორე გვერდის ბოლო აბზაცამდე: „იმ დროს მისი ამხანაგები“ ამოშლილია მთლიანად.

68 ფურცლის მეორე გვერდიდან, სიტყვებიდან: „გაპხედეს იმ ალაგას“

69 ფურცელზე სიტყვებამდე „რადგანაც შეჭურვა შინ ვერ მოესწროთ“ ამოღებულია ცენზურის მიერ.

70 ფურცლის მეორე გვერდზე ამოშლილია შემდეგი აღგილი:

„— სამი სალდათი მოგვიკლეს, ჩვენც ორი მოვკალით, მაგრამ დასხოცილები თან წაიღეს და თითონაც გაიქცნენ.

რა რომ სიტყვა „გაიქცნენ“ გაიგონა და დაინახა, რომ იმის სიცოცლეს აღარავინ ერჩოდა, გული მოეცა, მაგრამ მაინც პირველი იმისი ფაჭრი იყო პირადი საქმე.

— მაინც პასუხის-გებაში მიმცემენ! დაიძახა იმან და წაიკლო თმებში ელი.

ის შებრუნვა შინ, ჩაიცვა საჩქაროდ და გასწია სალდათებით და კი- დევ ერთის იქ მყოფის უფროსით ბრძოლის ველზედ.

იქ მოვიდნენ, ნახეს დახოცილი რუსები, ნახეს ციხის გახსნილი კედელი და შეიტყვეს იაგოს გაქცევა, რომელიც ყველაზე მეტად ეწყინა მბრძანებელს.

ციხის უფროსმა ერთი აფიცერი და რამდენიმე სალდათი გამოუყენა გაქცეულებს, რომელთ ჩიცხვიც ას-ორმოცდაათს კაცს უნდა გადასჭარ- ბებოდა, სალდათებისაგან მოტანილის ცნობით; თითონ კი დაბრუნდა ცი- ხეში, სადაც სასტიკი გამოძიება უნდა მოეხდინა“.

83 ფურცლის პირველი გვერდის ბოლოში ამოღებულია: „ნაცემ-ნატ- ჯეპები, თავ-პირ-დამტვრეულნი“.

120 ფურცლის პირველი გვერდის ბოლოში ამოშლილია: „და აბა დე- და შეირთეთ ცოლად, თუ კაცობა არ სცადოთ“.

120 ფურცლის მეორე გვერდის დასაწყისში ამოღებულია ცენზურის შეირ:

„— აბა, თუ „ხლაზე“, ახლა ჩვენ ვვიყურეთ. დასძახა მოიულმა, რო- მელიც გადაწვა კლდეზედ და კარგა ხანს ნიშანში იღებდა ვიღასაც. მაგა რამ, რადგან ყაზახებსაც თავიანთი საფარი ჰქონდათ და ისინიც იმის იქნა- იმალებოდნენ, ეფერია ელოდდა, რომ აღმოჩენილიყო ვინმე“.

ხელნაწერის 122 ფურცლის მეორე გვერდიდან აბზაციდან „ბევრი ჭალიან ადვილად უყურებდნენ ამ საქმეს“... 124 ფურცლის პირველი გვერდის დასაწყისამდე... გათავებული სიტყვებით „თავის იარაღისთვის დაემორჩილებინათ“ ამოღებულია მთლიანად:

124 ფურცლის პირველ გვერდზე ამოშლილია შემდეგი ადგილი: „სა- იღგანაც უნდა შეერთებოდა შამილის ერთ-ერთს ჯარის ნაწილს და ებრძოლა ამ ხალხთან ერთად, რომელთანაც მიიღეს და შეითვისეს“.

128 ფურცლის პირველი გვერდის ბოლო სიტყვებიდან „ამ დოოს ჩორა მოვიდა სტუმრებთან და უთხრა...“ 132 ფურცლის პირველი გვერდის ბოლომდე, გათავებული სიტყვებით „...სადაც ქალებს რბილი ქვეშსაგები გაეშალათ“, მთლიანად ამოშლილია ცენზურის მიერ.

132 ფურცლის პირველსავე გვერდზე გადახაზულია შემდეგი ადგილი: „ისინი გროვდებოდნენ ხან ერთს ადგილს, ხან მეორეს და პირობას სდებ- დნენ, რარიგად წასულიყვნენ შამილთან, ვინ აერჩიათ უფროსად, ვინ იმის შემწედ და ვინ დარჩენილიყო მხოლოდ უბრალო მეომრად“.

134 ფურცლის მეორე გვერდის ბოლო აბზაციდან: „ელბერდ გაჟყუ- ჩებდა გზას...“ 162 ფურცლის პირველი გვერდის დასაწყისში სიტყვებამ- დე: „ერთს საღამოს სტეფანწმინდის მახლობლად“ ცენზურის მიერ ამო- ღებულია 27 ფურცელზე მეტი მთლიანად.

168 ფურცლის მეორე გვერდის ბოლოდან, სიტყვებიდან „რაო ამშა- ვია? ბოლოს გაკვირვებით იკითხა ჩორამ“ 171 ფურცლის ბოლო სიტყვე-

ბამდე „ისინი მიახლოვდნენ ისის სოფელს ხუმალაგს“ მთლიანად ამოშ-  
ლილია ცენზურის მიერ.

172 ფურცლის პირველი გვერდის დასაწყისში ამოღებულია: „მეორე  
დღეს მასპინძელმა, რა დაინახა ცხენები, თვალმა წასძლია და მოისაზრა,  
რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ამ ცხენებს დაინარჩომებდა თითონ“.

შეიძლებოდა კიდევ მრავალი ადგილების მოყვანა, მაგრამ ესეც საკ-  
მაოა იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აფუჭებდა და ამახინჯებდა მე-  
ფური ცენზურა სახელგანთქმული მწერლის უბადლო შედევრებს.

ასევე დაჩეხილ-დასახიჩრებულია ალექსანდრე ყაზბეგის თხზულება-  
თა ოთხტომეული, რომელიც ბელეტრისტის სიცოცხლეშივე 1891 წელს  
„ქართველთა ამხანაგობის გამოცემამ“ გამოსცა.

ალექსანდრე ყაზბეგს ჸიცოცხლეში არ დასცალდა დაებეჭდა თავისი  
თხზულებანი იმ სახით, რა სახითაც ისინი ჰქონდა გამოსაცემად დამზა-  
დებული და, ამიტომაც, სრულიად არ გაჰქარებია, უკვე სულით ავად-  
მყოფს, მათი ნახვა.

დავით კლდიაშვილი ამ ეპიზოდს თავის „მემუარებში“ ასე აგვიწერს:  
„...გამოცემული წიგნები მიუტანეს ავადმყოფს, მან გადაშალა, და-  
ჩერდა თავის პორტრეტს, მერმე ამოხია იგი, წიგნის ფურცლებიც მიხი-  
შოხია და გადაყარა იქით“<sup>1)</sup>.

ალექსანდრე ყაზბეგს თავის მრავალტანჯულ სიცოცხლის მთელ მან-  
ძილზე სჯეროდა, რომ დაიმსხვრეოდა მონობის ბორკილი. იგი ამ რწმე-  
ნით ჩავიდა სამარეში, და აკი ერთ თავის ლექსში ამბობდა კადეც:

მოვა დრო უზარ-მაზარნი  
მთანიცა შეინძრევიან,  
ქარი დაპქროლებს მედგარი,  
ღრუბელი განიმქრევიან!  
ზევით ცა ლაჟვარდოვანი  
ქვეშ მიწა — შეირყევიან,  
აწ გული ოღნავ მფეთქავნი  
ლომ ვეფხსაც მოერევიან!  
მოვა დრო დაჩაგრულები  
მამაცათ მოიქცევიან,  
ერთის წადილით შეკრულნი  
ერთს ნდობად გადიქცევიან,  
გრგვინვად ასტყდება ყიუინა  
მშიშარნი გაიქცევიან!  
მოვა დრო, ნანგრევთა შორის,  
მდელონი აჰყვავდებიან!  
მშობლისგან თავის ნაშობნი  
მშობლურად ალიზრდებიან.

<sup>1)</sup> დ. კლდიაშვილი — „მემუარები“, 1932 წ., გვ. 48.

ფრინველი ბარტყებს დასჩეკენ,  
ჭიკჭიკით დაფრინდებიან;  
ქვეყნის ნუგეშად მნათობნი  
ლაუვარდში გაბრწყინდებიან <sup>1)</sup>.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ოცნება აუცხადა ალექსანდრე ყაზბეგს. სტალინური ეპოქის მზრუნველმა ხელმა შის ოხზულებებს პირველსურნელება დაუბრუნა.

---

<sup>1)</sup> გამ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1938 წ., № 26.

1938 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის  
ყოველთვიურად.

ხელის მოჭერის პირობები:

შლიურად . . . .	18 მან.
ნახევარი . . . .	9 "
ცალკე ნომერი . . .	1 მ. 50 კ.

ლის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის  
რაიონუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა ქავშირი.